პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და ხრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 238 სამშაბათი, 17 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 238

დღიური

— იაპონელებმა ვლადივოსტოკის ევაკუაცია დაიწყეს.

— ამხ. კოლონტაი დაინიშნა ნორვეგიაში საბჭოთა წარმომადგენლად.

— 18 ოქტომბერს იხსნება ჟენევაში საერთაშორისო შრომის კონფერენცია.

„ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო"

ოქტომბრის რევოლუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,—საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ პროპი ს. თალაკვაძესთან.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

ერთიან პარტიულ დღეს,

20 ოქტომბერს დასვან დღის წესრიგში

„საერთაშორისო მდგომარეობა".

თეზისები დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

4—1 ტფ. კომ. მდივანი მიხ. კახიანი.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა

ყველაზე უფრო უდიდესი და შეურიგებელი მტერი საბჭოთა რუსეთისა დღემდე იყო და ეხლაც არის საფრანგეთი. ეს აიხსნება, სხვათაშორის, იმ გარემოებით, რომ საფრანგეთს ყველაზე მეტი კაპიტალი და ვალები აქვს დაბანდებული ძველ რუსეთში. საბჭოთა მთავრობა კი, ცხადია, ვერ აღადგენს ფრანგ. ბანკირების და ბირჟევიკების საკუთრებას რუსეთში, ვერც მის და მეფის რუსეთის იმპერიალისტურ მიზნებისათვის გაღებულ სამხედრო ვალებს დაუბრუნებს მას. ეს კი არყევს პარიზის მთავრობის პოლიტიკურ პრესტიჟს და ბურჟუაზიულ წყობილების ეკონომიურ საფუძველს.

ამიტომაცაა, რომ საფრანგეთი, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, არაფერს ზოგავს რათა დასცეს მუშურ-გლეხური მთავრობა და აღადგინოს მონარქიული, ან ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიული, „დემოკრატიული" მთავრობა, რომლის წყალობით იმედი აქვს თავის პრეტენზიების დაკმაყოფილების, რაც ნიშნავს რუსეთის სრულ დამონებას, კოლონიად გადაქცევას.

ამ მიზნის განსახორციელებლად საფრანგეთის რეაქციონური მთავრობა იბრძოდა იარაღით ხელში, გზავნიდა თავის ჯარებს რუსეთის ინტერვენციოდ, ის აქეზებდა რუსეთთან ომისათვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს (რუსეთ-პოლონეთის ომი), რომელნიც ვასალურ მდგომარეობაში იმყოფებიან მისდამი, დღესაც ხელს უშლის ამ მცირე ქვეყნების ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას რუსეთთან და ცდილობს იყოლიოს მზად მაზე გასალაშქრებლად, თუ ამისათვის დადგა ხელსაყრელი მომენტი.

საფრანგეთი მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ არა მარტო იარაღით და ერთი შედარებით ვიწრო მასშტაბით, იგი საერთოდ წინ ეღობებოდა რუსეთთან შეთანხმებისა და თანამშრომლობისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს საერთაშორისო მასშტაბით. ის იყო რუსეთის ყველაზე უფრო დიდი მოწინააღმდეგე საერთაშორისო დიპლომატიურ მოლაპარაკებათა დროს. გავიხსენოთ გენუა და ჰააგა. ორივე ამ კონფერენციის უმთავრესი ჩამშლელი იყო საფრანგეთი.

მაგრამ მდგომარეობა თანდათან იცვლება, და იცვლება სწორედ რუსეთის სასარგებლოდ.

როგორც გარეშე თავდასხმას, ისე შინაურ კონტრ-რევოლუციას რუსეთის მშრომელი ხალხი გმირულად გაუმკლავდა. და იმედს რუსეთის იარაღით დამარცხებისას სულ უფრო და უფრო ეცლებოდა ნიადაგი. ამავე დროს თვით რუსეთის შინაური მდგომარეობა დღითი-დღე მტკიცდება. საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება და გაჯანსაღება უდავო ფაქტია.

ეს გარემოება კი დღემდე შეურიგებელ სახელმწიფოებს იძულებულს ხდის მოახდინონ რუსეთთან დამოკიდებულებაში თავიანთ პოლიტიკის რევიზია. მრავალი სახელმწიფო ადგება საბჭოთა რესპუბლიკასთან ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის გზას. აქ არ შევუდგებით ამ ქვეყნების ჩამოთვლას და რუსეთთან მათი დამოკიდებულების ისტორიის გადმოცემას. ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს საფრანგეთის პოზიცია.

დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულია ერრიოს განცხადება. ერრიო საფრანგეთის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელია. ის იყო რუსეთში გამოგზავნილი ამ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის და შესაძლებლობათა გამოსარკვევად. ერრიომ რუსეთიდან წასვლის შემდეგ განაცხადა, რომ დადგა დრო მოსკოვში საფრანგეთის სავაჭრო წარმომადგენლობის გაგზავნის და საბჭოთა მისიის ჩამოსვლისა პარიზში. ერრიოს აზრით, რომელიც მან გაუზიარა გაზ. „ტრიბუნ"-ის თანამშრომელს, შესაძლებელია საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება. ამ დაახლოვებას საფუძველი უნდა ჩაეყაროს ეკონომიური ხელშეკრულებით, რომელსაც დაუყოვნებლივ მოჰყვება საბჭოთა მთავრობის ცნობა. ასეთია ერრიოს განცხადება. ცხადია, რომ ერრიო რუსეთში იყო წამოსული მრეწველთა ჯგუფის სახელით და არა მთავრობის ოფიციალური დავალებით, მაგრამ, ამ უკანასკნელის ფარული დასტურით მაინც. და აღნიშნულ განაცხადებას ამიტომ განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება. რომ საფრანგეთის მთავრობას ეტყობა ცვლილება რუსეთის საკითხში, ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, როგორც იტყობინება იმავე გაზეთი, ერთ პირს, რომელსაც მაღალი პოსტი უკავია საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში, განუცხადებია, რომ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვება დგას დღის წესრიგში.

ამ გვარად, ცხადია, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეები ცდებენ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის გაჩაღებას, და მთავრობაც მათი გავლენით და მთელი რიგი გარემოებებით. ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება ამ გზას დაადგეს.

საფრანგეთს, რომელმაც დაკარგა რუსეთის ინტერვენციის იმედი, საფუძვლიანად ეშინია, რომ ის დაიგვიანებს, სხვები მოასწრებენ რუსეთთან ურთიერთობის მოწყობას, და მისთვის არაფერი დარჩება.

ამ მხრივ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს მისთვის არა მარტო რაპალოს ხელშეკრულებას, არამედ ამას წინედ კრასინსა და ურკვარტს შორის დადებულ საკონცესიო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებას უნდა ექნეს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სხვა მხრივაც. იგი გაუქმებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიჭირა ინგლისმა რუსეთის მიმართ ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. ინგლისმა ანგარიში არ გაუწია რუსეთს და მის ინტერესებს და მის გარეშე ცდილობს სრუტეების საკითხის გადაჭრას. საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ გააუქმა აღნიშნული ხელშეკრულება და ამით ნათელყო, რომ ის ვერ ითანამშრომლებს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც პატივს არ სცემს მის უფლებებს და ინტერესებს. და საფრანგეთიც, თუ მას მართლა სურს რუსეთთან ეკონომიური თანამშრომლობა, უნდა მივიდეს მასთან, როგორც სუვერენულ ქვეყანასთან, ორივე მხარის ინტერესთა გონიერ გაგების ნიადაგზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკასთან ურთიერთობის აღდგენა.

პარტიის გენერალური გაწმენდა

წმენდა დაიწყო თბილისში და მთელ საქართველოში და ამ ჟამად ის გაძლიერებულის ტემპით წარმოებს. ეს არის არა უბრალო ფორმალური ხელახალი რეგისტრაცია, ან გამოცვლა ერთი პარტიული ბილეთისა მეორე, ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთით, არამედ საფუძვლიანი გადათვალიერება, სახელდობრ გენერალური წმენდა პარტიული რიგებისა.

ის აქ ტარდება მეორეთ საქართველოს კომპარტიის მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, რომელიც როგორც ლეგალურად მომქმედი პარტია შეიქმნა თავის თავად ამ 1 ნახევარ წლის განმავლობაში—საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. საბჭოთა წყობილების დამყარება საქართველოში კი მოხდა სწორეთ მაშინ, როცა მთელი ჩვენი საბჭოთა ფედერაცია შეუდგა გადასვლას ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. და სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთში რ. კ. პ. პირველი საერთო წმენდა სწარმოებდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებასთან ერთად, რომელიც იყო უდიდესი ახალი გამოცდა პარტიის ოთხი წლის არსებობის და მისი სისხლიან სამხედრო ფრონტზე და უსისხლო, მაგრამ არა ნაკლებ მძიმე ახ. ეკ. ფრონტზე ბრძოლის შემდეგ—ყველა არა მტკიცე, მერყევ და სუსტი სულის პატრონ ამხანაგებისათვის. წმენდამ გამოაშკარავა ის ელემენტები, გამოიყვანა ისინი მზის სინათლეზე და გახვეტა რკინის ცოცხით პარტიიდან.

მაგრამ საქართველოში პირველმა წმენდამ ვერ მოგვცა საგრძნობი შედეგები, ვინაიდან ის სწარმოებდა რევოლუციის პირველ თვეებში. ბევრი, რასაკვირველია, მიიზიდა მაშინ გამარჯვებულ მუშათა კლასის პარტიამ და ამავე დროს გაწმენდამდის და გაწმენდის შემდეგაც პარტიაში შედიოდენ უმთავრესად არა პროლეტარული ელემენტები. დაახლოვებითი სტატისტიკური გამოანგარიშებით ამ ჟამად საქართველოს კომპარტიაში ითვლება წევრები და კანდიდატები 18—19 ათასამდე, აქედან 80 პროც.-ზე მეტი არის გლეხები და მოსამსახურე ინტელიგენტები და მხოლოდ 15—20 პროც. მუშები. როგორც ხედავთ, ფრიად მცირეა პროლეტარული ელემენტი და ასევე საგრძნობია პროცენტი არა პროლეტარულ ელემენტებისა. მაშასადამე, ერთის მხრივ პირველი წმენდისათვის ობიექტიურად არა საკმაოდ ხელსაყრელი მომენტი, მეორე მხრივ არა ჩვეულებრივი რაოდენობითი ზრდა ორგანიზაციისა და მისი მეტ წილად არა პროლეტარული თვისებითი—სოციალური შემადგენლობა,—აი პირობები, რომელნიც ბრძანებითი კილოთი გვიკარნახებენ მეორე უფრო საფუძვლიანი წმენდის აუცილებლობას. ამ ჟამად საჭიროა გულდასმით მიმოხედვა თავის გარშემო, დათვალიერება ყოველი კუთხის და კუნჭულის და ყველა უვარგის ელემენტების გაძევება „მეწმენდელების", ადგილობრივ და ბაქოს მუშების ფრთხილი და მოსიყვარულე ხელებით, იმ მუშების, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ წმენდაში და გადარჩევა ყველაფერის, რაც არის საუკეთესო, მტკიცე და გულადი მუშათა კლასსა და გლეხობაში.

რომელი მხრით უნდა იქნეს მიპყრობილი გაწმენდის ძირითად ყურადღება? ჩვენი აზრით, აქ შეიძლება დაწესებულ იქნეს სამი უმთავრესი კატეგორია, რომელთა გაძევება პარტიიდან შესაძლებელია ამ უკანასკნელის დაუზიანებლად.

უწინარეს ყოვლისა, პირველ ასე ვთქვათ—კატეგორიას, მივაკუთნებთ ახლო წარსულში ჩვენ ძლევამოსილ რიგებში შესული ელემენტები ამასთან სხვა პარტიებიდან გადმოსული, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შესძლეს წვრილ ბურჟუაზიულ ბუნებისაგან განთავისუფლება და რომელთაც შემოაქვთ თავისი ყალბი აზრები ჩვენს ოჯახში. პარტია სათანადოთ უნდა იქნეს გაწმენდილი ამ ელემენტებისაგან.

მეორე კატეგორია არის ეგრედ წოდებული „ზედმეტი ბალასტი". ყველა არასასურველი, უსარგებლო და ერთი სიტყვით უვარგისი ელემენტებიან წმინდა ჩინოვნიკური სულით გაჟღენთილნი (კომჩინოვნიკები და უსიცოცხლო ბიუროკრატები, და ასეთები საუბედუროდ ბევრი გაჩნდა ჩვენს პარტიებში), ან უსაქმურნი, ან და პასიური ხალხი—ის ჩვენთვის არ არის საჭირო ასეთ აქტიურ დროში. და კრიტერიუმი აქ უნდა იყოს ერთი: საჭიროა თუ არა ის რევოლუციის მეტად პასუხისმგებელ და კრიტიკულ პერიოდებისათვის და გამოსადეგია თუ არა პარტიისათვის. თუ—ჰო—უნდა დარჩეს, თუ არა—უნდა გაძევებულ იქნეს.

დაბოლოს, მესამე და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კატეგორია—ეს ის ხალხია, რომელნიც დაავადმყოფებული არიან კომპარტიისათვის გაუსწორებელ სნეულებებით—სხვა და სხვა მოძველებულ-საუკუნეთაგან მომდინარე—ცრუმორწმუნეობით და დრომოჭმულ პსიქოლოგიით, განსაკუთრებით, რომელნიც შეპყრობილი არიან თვითმპყრობელური ან პრიმიტიული ნაციონალიზმის სენით, ძველი მეფური რუსეთის ან სამჯერ წყეული მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის. ეს დაწყევლილი მემკვიდრეობა უნდა მოისპოს და ჩაბარდეს არქივს საბჭოთა ქვეყნიდან გაქცეულ ემიგრანტებთან ერთად.

ამ სენის, როგორც მოვლენის, საჭიროა გახურებული შანთით ამოწვა, და მისგან პარტიის სავსებით დაცვა.

აი ეს მთავარი პირობები უნდა შესრულებულ იქნეს, რათა მეორე წმენდა არ ჩატარდეს უკვალოდ, რათა ჩვენთვის მოსალოდნელ ყოველ გვარ განსაცდელის დროს, ჩვენ შეგვეძლოს უდიდეს გამარჯვების მიხწევა.

აი სწორედ ეს არის საჭირო აქ საბჭოთა საქართველოში ეხლა ახლო აღმოსავლეთში გართულებულ მდგომარეობის მომენტში, ვინაიდან ჩვენ ვდგევართ საპასუხისმგებლო პოსტზე აღმოსავლეთის კარებში და გვიჭირავს დასაყრდენოში სამხედრო სტრატეგიული პუნქტები.

ჩვენ გვესაჭიროება მთლიანი კომუნისტური ჯარი, მთლიანის დროშით და მტკიცე მთლიან საკომანდო შემადგენლობით. ეს ამოცანა უნდა შეასრულოს წმენდამ. და მის შედეგად ჩვენ უნდა გვქონდეს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია, **როგორც კავშირი რჩეულთა, მუშათა კლასის და რევოლუციის პარტია.**

მ. კახიანი.

სოციალური დაზღვევა

მიუხედავად იმ მცირე საშუალებათა, რომლებიც გაჩნდა ცენტრალურ დამზღვევ კასას, მან მაინც საკმაოდ გააფართოვა თავისი მუშაობა და სოციალურ დაზღვევის საქმეს საქართველოში მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. სოციალურ დაზღვევის ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებშიაც, ყოველ ღონისძიებას მიმართავდენ, რომ წარმოება-დაწესებულებათაგან მიეღოთ ის პროცენტების ანარიცხი, რომელიც მთავრობის დადგენილებით თვით წარმოება დაწესებულებებმა უნდა შეიტანონ კასაში თავის მუშა მოსამსახურეების დასაზღვევად. იმ დროს, როცა დამზღვევი განყოფილების წინაშე ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა გადასაჭრელად, როდესაც გადაუდებელი საკითხი იყო დამზღვევი კამპანიის ჩატარება, თბილისში რაიონული კასების დაარსება და სხვა, და ამისათვის საჭირო იყო დიდი თანხა, განსაკუთრებული ფონდი, რომელიც უნდა შემდგარიყო პროცენტების ანარიცხიდან, დამზღვევ კასის ფულის ამკრეფი განყოფილება, დიდის სიძნელით აგროვებდა ნავარაუდევ 12 მილიარდის მაგიერ 2 ან თუ სამ მილიარდს, და დანარჩენი უმეტესი ნაწილი „დავალიანებას" ემატებოდა. ეს დავალიანება 20 მილიარდამდე ავიდა, მაგრამ დამზღვევმა განყოფილებამ, როგორც ვსთქვით საგრძნობლად გააფართოვა თავისი მოღვაწეობის ასპარეზი.

პროფკავშირთა სრულიად რუსეთის მე 5 ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაპყრო სოციალურ დაზღვევის საქმის მაქსიმალურად გაუმჯობესებას. დაზღვევის დარგში დასახულ იქნა ახალი ამოცანები მის გაფართოვების და გაღრმავების სასარგებლოდ და დამზღვევ ორგანოებს მიეცა მეტი საშუალება ამ კარდინალურ საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად. ჯერ კიდევ ამ ყრილობის მოწვევამდე სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს მიეცა სესხი 22 წლის ფულის ნიშნებით 1 მილიარდი მანეთი და ამის ანალოგიური დადგენილება გამოიცა საქართველოშიაც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილების თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატი აძლევს დამზღვევ ორგანოებს ოქტომბრიდან 1,500 მილიარდ მანეთს იმ დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების დასაზღვევად, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე, და ამის გარდა ასწორებს ოქტომბრამდე დავალიანების 50 პროცენტს. ეს ნაბიჯი ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი მუშურ გლეხური ხელისუფლების მისწრაფება მუშათა ყოფა—ცხოვრების მაქსიმალურად გაუმჯობესობისა და შრომის უნარის დაკარგვის დროს მათი სრულიად უზრუნველყოფისაკენ.

იმ დროს, როდესაც ქვეყნის ახლად წამოწყებული წარმოება, თავის პროგრესიულ განვითარებს და პროდუქტიულ მუშაობის გასაძლიერებლად მოითხოვს ხარჯების სიფრთხილეს, საბჭოთა ხელისუფლება არ ზოგავს საშუალებებს და თავის ბიუჯეტს უმატებს ერთ დიდ ხარჯების გასავალს სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მუშა მოსამსახურეთა დასაზღვევად.

ამ რიგად ხსენებულ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეები მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი არიან, და დამზღვევ ორგანოებს ეძლევა საშუალება შემდეგში თავის ფუნქციების და თავის ამოცანების განვითარების.

მაგრამ დაზღვევის საქმის წარმატებისათვის ეს არ კმარა. დამზღვევ ორგანოების წინაშე სდგას ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა და პერსპექტივები. სახ. კომ. საბჭომ თავის დადგენილებით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თუ როგორ იცავს ის შრომას. ეხლა სიტყვა ეკუთვნის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოება დაწესებულებებს. ასეთი დაწესებულებები საკმაოდ ბევრია და მათი დავალიანებაც არ არის ცოტა დამზღვევ ორგანოებისადმი. ისეთი გრანდიოზული წარმოება, როგორიც თამბაქოს ტრესტი, ტყავეულობის სამმართველო სახალხო კავშირი და სხვა, ზღვეულების ფულის შეტანას აჭიანურებენ, და მათი დავალიანება მილიარდებში გამოიხატება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი გამონახავენ საშუალებას პროცენტების ანარიცხის თავის დროზე შეტანისას. მათი ასეთი დავალიანება აიხსნება მით, რომ დღემდე ც. დ. კ. არ იჩენდა ისეთ სისასტიკეს, როგორც მაგ. რუსეთში. თუ აქამდე დამზღვევი ორგანოები არ მიმართავენ იმ რეპრესიულ ზომებს, რომელიც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომის. № 11 დადგენილების მე 5 მუხლში და სახ. კომ. საბჭოს № 23 დადგენილების მე 5 მუხლში, თუ ისინი არ ახდევინებდენ ამ დადგენილების დამრღვევ ორგანიზაციებს საურავს და ჯარიმას, ეს აიხსნება მით, რომ დამზღვევი ორგანოები მათ ყოველგვარ საშუალებას აძლევდენ, რათა შეეტანათ ზღვეულების ფული გაგრძელებულ ვადაში, იღებდნენ რა მხედველობაში ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

სახელმწიფო მომარაგების მუშა მოსამსახურეთა დაზღვევით, დამზღვევ ორგანოების წინაშე იშლება დიდი პერსპექტივები და ამ საქმის სრული მაშტაბით განვითარება შესაძლებელ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი წარმოება დაწესებულებები სერიოზულად მოეპყრობიან ამ საქმეს და დადგენილებას საპროცენტო ანარიცხის შემოტანის შესახებ სავალდებულოდ გახდიან. არავითარ დათმობას დამზღვევი ორგანოების მხრივ შემდეგში ადგილი არ ექნება. სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელნი პასუხისმგებელნი არიან ამ დადგენილების სისრულეში მოყვანაში; ამიტომ მათ არ უნდა დაივიწყონ თავის მოვალეობა მუშების და დამზღვევ ორგანოების წინაშე და დროზე უნდა შეიტანონ პროცენტების ანარიცხი, სადაც ჯერ არს. ყოველივე გვერდის ახვევა ზღვეულების ფულის შეტანისთვის, მიჩნეულ იქნება როგორც სოციალურ დაზღვევაზე, გამოცემულ სავალდებულო კანონის დარღვევა, როგორც საბოტაჟი პასუხისმგებელ ხელმძღვანელების მხრივ. დამზღვევი ორგანოები საკმაოდ აღჭურვილნი არიან უფლებებით, რომ საპროცენტო ანარიცხის შემოტანის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ არა თუ გადაახდევინონ საურავი და ჯარიმა, **არამედ პასუხი აგებინონ ადმინისტრატიული წესით.**

ი. ლომაძე.

მუშათა და გლეხთა მოძრაობა იაპონიაში

იაპონიის პროლეტარიატის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ომის დროს, იაპონიის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებასთან ერთად. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ჟამად იაპონიაში ირიცხება დაახლოვებით ექვსი-შვიდი ათასი მემაღაროე, მიუხედავად იმისა, რომ ნახშირის მრეწველობამ იწყო განვითარება მხოლოდ უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში.

იაპონიის მუშათა მოძრაობის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ის ფაქტი, რომ იაპონიის პროლეტარს უხდებოდა დიდი დროს დახარჯვა მისთვის სრულიად ახალი პროფესიების შესასწავლად, რომელნიც შემოიჭრნენ იაპონიაში დასავლეთის კულტურასთან ერთად. ამგვარად, მას არ შეეძლო საკმაო დროის შეწირვა თავის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მუშათა მოძრაობა იაპონიაში ფრიად ნორჩია, მისი თანამედროვე გაფიცვები, რომელნიც სულ უფრო ხშირდება და ფართოვდება და რომელნიც ხშირად ღებულობენ პოლიციისა და ჯარებთან სისხლისღვრილ შეტაკებების ფორმას. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ იაპონიის კანონი უკრძალავს გაფიცვას, როგორც ბოროტ-მოქმედებას, რომლის დაპატიმრება შეუძლია ყოველ პოლიციელს.

მიუხედავად რეპრესიებისა, იაპონიის პროფკავშირები, რომელნიც მოწყობილია ან პროფესიონალურ ან და ინდუსტრიალურ ნიშანდობლივ მიხედვით, წარმატებით ვითარდება. ის არ გადაქცეულა მუშათა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც აწარმოებს შეთანხმებულ პოლიტიკას, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ სხვა ქვეყნებში. პირიქით, ის იშვა რევოლუციონურ ბრძოლაში, იმ მომენტში, როცა რევოლუციონურმა მოძრაობამ დასავლეთში უკვე მიაღწია განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს, და ამიტომაც შეინარჩუნა მებრძოლი სული. ინგლისურ ტიპის ძველი პროფესიონალური ორგანიზაციებიდან განსხვავებით, მას კიდევ არა აქვს გაფიცვის ფონდი, და ყოველჯერ გაფიცვების დროს იძულებული არის იყვეს მებრძოლ მუშებთან მჭიდრო ურთიერთობაში, ამ შორის აგრეთვე თანხა მოძრაობისათვის ხელის შესაწყობად.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, იაპონიის გაფიცვები ატარებს რევოლუციონურ ხასიათს, გაფიცულთა შეტაკება პოლიციასთან—ჩვეულებრივი მოვლენაა იაპონიაში. ამ მხრივ დამახასიათებელია 40.000 დოკის მუშის გაფიცვა შარშან კობეში, გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით ექვსი კვირა. მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირი აერთიანებდა ამ მუშების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, ისინი ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოეხმაურნენ მის მოწოდებას გაფიცვისაკენ. ამ გაფიცვის დროს მუშები მართავდნენ ქუჩებში დემონსტრაციებს, სადაც ხდებოდა პოლიციასთან შეტაკებები, რომელიც მუშებს დაუჯდა რამოდენიმე კაცი მოკლული და დაჭრილი. გარდა ამისა, დაპატიმრებულ იქნა ორასამდე „აგიტატორი". მათი დაპატიმრების ხერხი ფრიად ტიპიურია იაპონიის პოლიტიკურ წესებისათვის: ვინაიდან პოლიციას არა აქვს უფლება დაპატიმრებული დააკავოს სასამართლოს გარეშე 24 საათზე მეტი ხანს, ის მათ აპატიმრებდა, ათავისუფლებდა რამოდენიმე წუთით და ისევ აპატიმრებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაფიცვა ჩახშობილ იქნა რეგულარულ არმიის ჩარევით, მან მაინც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანა მუშათა ორგანიზაციებს, ხელი შეუწყო რა მათ შეკავშირებას. მეორე დამახასიათებელი ხაზი იაპონიის გაფიცვების არის საბოტაჟი, რომელიც ხშირ შემთხვევაში წესიერად იწყობა. ასე, მაგალითად, 1920 წ. ქარხ. კობე—კაბასაკის მუშებმა გამოაცხადეს „იტალიური" გაფიცვა.

ისინი ცხადდებოდნენ სამსახურში დანიშნულ დროზე, მაგრამ მაინც ფაქტიურად თითქმის არ მუშაობდნენ. ეს გაფიცვა მუშების გამარჯვებით გათავდა და სტიმული შეიქნა მიბაძვებისათვის. ასეთი ტაქტიკა განსაკუთრებით ხელსაყრელია იაპონიის პირობებში, ვინაიდან ის არ აძლევს პოლიციას საბაბს აშკარა და უხეში ჩარევისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა საბოტაჟი, გამანადგურებელ ფორმებს ღებულობს.

საერთოდ, იაპონიის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარება ფრიად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სრულიად სხვანაირად ვითარდება გლეხთა მოძრაობა იაპონიაში. ამ მოძრაობას აქვს საკმაო წარსული, იაპონიის ისტორია აღნიშნავს გლეხთა მღელვარებას ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში. ტოკუგავას დინასტიის დროს გლეხების გამოსვლას უფრო ღრმა ხასიათი მიეცა. ის მიმართული იყო მემამულეების და მევახშეების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ატარებდა, მეტ ნაწილად, ადგილობრივ სუსტად მოწყობილ ხასიათს. ამ გამოსვლებს ახშობდნენ უსასტიკეს ზომებით.

1868 წ. რევოლუციის შემდეგ, რომელმაც იაპონიის გლეხები განთავისუფლა ბატონყმობიდან და მათ გადასცა მიწა, მოძრაობის ხასიათი იცვლება. ამ დროიდან იწყება გლეხობის დიფერენციაცია კულაკებად და დამოუკიდებელ მეურნეებად, ერთი მხრივ, მოიჯარადრეებად და მოჯამაგირეებად, მეორე მხრივ. უკანასკნელმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შესძლეს მიღებულ მიწის შენარჩუნება, მაზე დამკვიდრება, და ისინი მოექცნენ კულაკების დამოკიდებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბ გლეხების ცხოვრების მდგომარეობა არ არის უკეთესი მათ მდგომარეობაზე ბატონყმობის დროს, გლეხთა გამოსვლები ბოლო დროს (1919 წლამდე) არ ხდებოდა ის ხშირად, როგორც ფეოდალიზმის ხანაში. ეს აიხსნება ცენტრალური სახელმწიფო აპარატის არსებობით, რომელიც სწრაფად უსწორდება ურჩ გლეხობას.

მაგრამ ბოლო წლებში, გაძლიერებულ მუშათა მოძრაობის ზეგავლენით, იაპონიის გლეხობა აშკარავებს გამოფხიზლების ნიშნებს.

სამი წლის წინად, ოფიციალური ცნობებით, გლეხთა კონფლიქტების რიცხვმა მიაღწია 400. შარშან ის გაიზარდა მეტი 200 პროცენტით, ხოლო ამ წელში, როგორც ეტყობა, უფრო მეტი იქნება. ამ ჟამად სწრაფად მრავლდება გლეხთა კავშირები, რომელთა რიცხვმა მიაღწია უკვე 700, მათ ეხლახან შეადგინეს ცალკე ფედერაცია.

უკანასკნელი ფაქტი მოწმობს იაპონიის ღარიბ გლეხების კლასობრივ თვითშეგნების სწრაფ ზრდას. პოლიცია სოფლად გაცილებით ნაკლებია, ვინემ ქალაქში, მემამულენი არ არიან ისე კარგად დარაზმულნი, როგორც ფაბრიკანტები, ამიტომ გლეხთა მოძრაობას იაპონიაში მეტი შესაძლებლობა აქვს განვითარებისათვის, ვინემ პროლეტარულს.

ზოგიერთ შემთხვევაში გლეხები მოითხოვენ აღიარონ მათი უფლება საიჯარო მიწით სარგებლობისა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აგრეთვე მოიჯარადრის ინტერესების უზრუნველყოფას, მოსავლის მიხედვით.

ამის წინად ცნობა იყო, რომ ტოკიოს ახლო-მახლო გლეხებმა შექმნეს წითელი გლეხური ასოციაცია, რომელმაც გამოაქვეყნა რადიკალური მანიფესტი; მასში გლეხობას მოუწოდებდნენ მისდიონ რუსეთის გლეხების რევოლუციონურ მაგალითს. იაპონიის გლეხთა მოძრაობა, რომელიც ამ ჟამად სწრაფად ვითარდება, მიმდინარეობს მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის ნიშნის ქვეშ.

სენ—კატაიამა.

მაქს გელცის წერილი

(მოთავსებული გერმანულ კომუნისტურ გაზეთში 10 ოქტომბერს)

საპყრობილეში მისი ცხოვრება—დუშერსტერის კოშმარია: არაა ისეთი დაცინვა, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია არ მიმართავდეს თავის მსხვერპლის წინააღმდეგ.

აი რას ამბობს თვით გელცი ერთ თავის წერილში უკანასკნელ მორიგ ცემაზე:

ოთხმა ზედამხედველმა წინადადება მომცეს შევყოლოდი მათ. ამ ჯალათების ფიზიონომია რაღაც ცუდს [illegible].

მე უარი განვაცხადე საკანის დატოვებაზე. მაშინ ზედამხედველებმა მტაცეს ხელი და საზარელ დაცინვის შემდეგ, ჩამომაგდეს მე-4 სართულიდან ძირს.

მე მარტო ერთ ხალათში ვიყავი. ორი ჯალათი მცემდა უკანიდან ციხის კლიტეებით და წიხლებით.

ვინაიდან მე ამ დროს რამოდენიმეჯერ დავუყვირე: „გაუმარჯოს რევოლუციას!"-მეთქი, ჯალათებმა ხელი წამივლეს კისერში და პირი ამიკრეს.

..ხალათი ნაფლეთებად მექცია.

მე გამომაგდეს კარში და იქიდან შემიყვანეს განკერძოებულ საკანში. იქ უკვე „თავისებურ" საკანში, მათ [illegible] ხმა არ გადის.

იქ მე საოცრად მცემდნენ. მცემდნენ უმეტეს ნაწილად თავის უკანა ნაწილზე და ზურგზე, სიტყვები რა

მყოფნის აგიწეროთ მთელი ჩემი წამება.

დიდი წამების შემდეგ მე შემომგლიჯეს ხალათი და ჩამკეტეს საკანში. ეს „განსაკუთრებული საკნები" თითქმის მთლად მიწაშია და შიგ ძლიერ ცივა.

საკანი სრულიად ცარიელი იყო, განაგრძობს შემდეგ გილცე,—არც საწოლი, არც მაგიდა, არც სკამი, არც საგიბ-სახურავი შიგ არ მოიპოვებოდა. წამოშიდგინეთ არ იდგა არც „პარაშკა".

ბუნებრივ მოთხოვნილების შესრულება იატაკზე მიხდებოდა, რის გამო საკანში საშინელი სუნი იდგა.

კბილები შეციებულსავით მიკაწკაწებდა, რადგან ძლიერ ვცახცახებდი, ვიწყე შიგ წინ და უკან სირბილი და ისე დავიღალე, რომ თვალებში სინათლე დამეკარგა. დაჯდომა მაინც ვერ შევძელი: იატაკი შარდით იყო ერთიანად მოტბორილი...

ასე ვიტანჯე ამ საშინელ წამების კამერაში საღამოს 9 საათიდან დილის 7 საათამდე, როდესაც მომიტანეს ხალათი, ამ ხვრელში მომიხდა [illegible] მთელი ოთხი დღე.

საკანში თავიდან ბოლომდის სრული სიცალიერე იყო, მხოლოდ ღამ-ღამით შემომიტანდნენ ლეიბს.

სუფთა ჰაერზე ხუთი წუთითაც არ მიშვებდნენ, სულ აყროლებულ საკანში ვისხედი, მთელი ამ ოთხი დღის განმავლობაში მე მხოლოდ გირვანქა ნახევარი საჭმელი მივიღე.

მე ვითხოვე, რათა ამ წამების ოთახიდან გადავეყვანე. მათ დაცინვით მიპასუხეს: მთავარმა პროკურორმა ბრძანა, რომ მისი გასწორება მხოლოდ ცემით შეიძლებაო...

როდესაც მე სასოწარკვეთილებამდის მივედი და განვაცხადე, რომ ასეთ ტანჯვას მირჩევნია მომკლათ მეთქი, ერთმა დარაჯმა მიპასუხა:

— არა, სიკვდილით, შენ არ მოგკლავენ, მაგრამ იმდენს გცემენ, თავს ხედო, რომ შენ თვითონ ჩამოიხრჩო თავიო.

მეოთხე დღეს ის იყო არაქათი მელეოდა. კიდევ ერთი დღე რომ დავეჩენილიყავი, მე ვერ გადავიტანდი: თვით მე ვე მოვულებდი ბოლოს ამდენ წამებას. სხეული მთლად შეერყეული მაქვს.

ექიმმა, რომელსაც უჩვენე ნაცემი, განაცხადა—ეს მე არ შემეხებაო.

მხოლოდ ჩემი ცემის მეცხრე დღეს გამსინჯა ორმა ექიმმა. მათ განაცხადეს, რომ არავითარი ცემის შედეგებს ვერ ვპოულობთო, როდესაც ტანზე კიდევ მქონდა ჯალათების ნაცემისგან საკმაო დიდი იარები.

ეგრედ წოდებულ „კოფეს" მაწოდებდნენ იმ ჭურჭლით, რომელიც საფურთხებლად ჰქონდათ.

ამ აუწერელ ტანჯვა წამების შემდეგ, მე გამიმწვავდა ძარღვების სისუსტე (ამხ. გილცეს იმპერიალისტურ ომში აქვს მიღებული მძიმე ჭრილობები)... ძალ ღონე დღითი დღე მეწურება. სისუსტით ხშირათ ვეცემი და რამოდენიმეჯერ დაცემის დროს დამიზიანდა სხეულის ესა თუ ის ნაწილი.

ჩემებისადმი გაგზავნილ წერილებს, რომლებშიც მათ მინდა შევატყობინო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა, აჩერებს საპყრობილის დირექტორი შეიდეგესი.

— მე თქვენ გთხოვთ, ამხანაგებო, ამბობს პატიმრობაში განაწამები მებრძოლი: მიიღეთ, რაც შეიძლება ყოველ გვარი ზომები არა მარტო ჩემთვის, სხვა ამხანაგებისთვისაც, რომელნიც ბევრია აქაც და სხვაგანაც ჩემებრ და, ეჭვი არაა, ჩემზე უარეს მდგომარეობაშიაც.

ამხ. ზინოვიევმა მიმართა გერმანიის კომ. პარ. ცენ. კომიტეტს წინადადებით, რათა მან ზომები მიიღოს, რომ შეიდემანელებმა გასცვალონ ამხ გილცე ეხლა ტიმოფეევზე, რომლისთვისაც ძლიერ იწუხებს თავს ყვითელი ინტერნაციონალის ლაშქარი.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

მუდანიის შეთანხმება.

მოსკოვი. 15 ოქტ. მუდანიის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ყველა დელეგატებმა, გარდა ბერძნებისა.

ბულგარეთ რუმინეთის საზღვარი.

მოსკოვი. 15 ოქტ. ბულგარეთ-რუმინეთის საზღვარი ორი კვირით დაიხურა.

რუსეთი კონფერენციაზე.

მოსკოვი. 15 ოქტ. ანკორას გავლენიან წარმომადგენელმა ნური-ბეიმ განაცხადა, რომ ანგორა კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ რუსეთთან ერთად. აუცილებელია აგრეთვე კონფერენციაზე საქართველოს და უკრაინის დაშვებაც.

საბერძნეთის მთავრობის ნოტა.

ნაუენი. 15 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გადასცეს ანგორის წარმომადგენლს გამიდ ბეის საბერძნეთის უმაღლესი კომისარის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „საბერძნეთის მთავრობა მოგაგონებთ რა საბერძნეთის დელეგატების მიერ მუდანიაში გაკეთებულ შენიშვნებს და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ისინი მხედველობაში არ იქნა მიღებული. საბერძნეთის მთავრობა სთხოვს მოკავშირეებს შეუმსუბუქონ ქრისტიანებს ემიგრაცია და გაადიდონ ვადა საბერძნეთის ჯარების ევაკუაციისა და ოსმალეთის ადმინისტრაციის დაწესებისა ფრაკიაში.

ამასთანავე ერთად საბერძნეთის მთავრობა აცხადებს, რომ ასრულებს რა მოკავშირეთა სურვილს და იღებს მუდანიის კონფერენციის გადაწყვეტილებას,—ეს ამის შესახებ აძლევს სათანადო ინსტრუქციებს თავის დელეგატებს.

ლოიდ ჯორჯის სიტყვა.

ნაუენი. 15 ოქტ. ლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა მანჩესტერში „რეფორმკლუბში". მან მიუთითა, რომ ინგლისის მთავრობას სურს არა ომის მომხრე, არამედ ზავის დამცველი და აღნიშნა ოსმალების მოქმედება 1914 წლ. ომის დროს. ამ მოქმედების გამო ის წინააღმდეგია იმ ლიბერალებისა და ქრისტიანებისა, რომლებიც ეთანხმებიან ოსმალეთის ევროპის ტერიტორიაზე გადასვლას.

გენ. ჟებლის განცხადება.

ნაუენი. 15 ოქტ. „პტი პარიზენი" აქვეყნებს ინტერვიუს გენ. ჟებლთან, რომელმაც განაცხადა თავისი კმაყოფილება დროებითი ზავის პირობებზე ხელის მოწერის გამო. ჟებლი სთვლის ამ დროებითი ზავს ოსმალეთთან მეგობრულ განწყობილების და აღმოსავლეთში ქრისტიან მოსახლეობის დაცვის ახალ და ნაყოფიერ პოლიტიკის დასაწყისად. გენერალის სიტყვით, პუანკარეს პოლიტიკამ, ლორდ კერზონთან საუბრის დროს, მიიყვანა საფრანგეთი სწორ გადაწყვეტილებამდე ახლო აღმოსავლეთის საკითხში და შესაძლებელი გახდა ახალი გზების და საჭირო ფორმულის გამონახვა კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

საზავო კონფერენციის გამო.

რომი, 15 ოქტ. „მესაჯეროს" ცნობით ახლო მომავალში სკუტარში გაიხსნება ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენცია, რომელზედაც იტალიის წარმომადგენლად დაესწრება გრ. სფორცა.

საბერძნეთის ხელის მოწერა.

ჰანოვერი, 15 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს კონსტანტინეპოლში ხელი მოაწეროს მუდანიაში დადებულ შეთანხმებას.

ლოზანნა.

ჰანოვერი, 15 ოქტ. „გოლუა" იტყობინება, რომ ანგორის წარმომადგენლობა წინააღმდეგი არაა კონფერენციის ლოზანში, და არა სკუტარში მოწვევისა.

ოსმალების წინ წაწევის გამო.

რომი, 15 ოქტ. იზმიდის მახლობლად 4,000 კაცისაგან შემდგარ ოსმალთის ნაწილის მიერ ნეიტრალურ ზონის გადალახვის შესახებ იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ეს მოძრაობა უნდა ჩაითვალოს უშუალო მოქმედებების ცდათ კონსტანტინეპოლის ხელში ჩასაგდებათ, ჩანაკასთან არსებულ მოკავშირეთა ჯარების სამარი ხაზისთვის შემოვლით ამ ნეიტრალური ზონის დარღვევის შესახებ მოკავშირეების წარმომადგენლებმა კონსტანტინეპოლში გადასცეს გაფრთხილება ანგორის მთავრობას.

მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

ჰანოვერი, 14 ოქტ. გაზ. „კორიერა დელლა სერა" იტყობინება, პუანკარეს და შანცერის წინასწარ მოლაპარაკებაზე, ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. მოლაპარაკება მოხდა პარიზში.

ლოიდ ჯორჯის განცხადება.

მოსკოვი, ლოიდ ჯორჯმა განუცხადა მუშათა პარტიის ლიდერებს, რომ სრუტეების თავისუფლების საკითხში მას არ შეუძლია არავითარი დათმობა და არ შეუძლია დაუშვას ნეიტრალური ზონების ოკუპაცია საზავო კონფერენციაზე მიღებულ შეთანხმებამდე. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახლო-აღმოსავლეთის კრიზისის გამო, ლოიდ ჯორჯმა სასტიკი დამარცხება განიცადა.

ოსმალების წინსვლა.

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. ლონდონში დიდ აურ-ზაურს იწვევს ოსმალოების შეჭრა იზმიდის ნეიტრალურ ზონაში.

სირია და ანატოლია.

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. სირიის და ანგორის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საბაჟო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მიზანია სირიასა და ანატოლიის შორის შეწყვეტილ სავაჭრო ურთიერთობის განახლება.

საბჭოთა რესპუბლიკების საზავო კონფერენციაზე მონაწილეობა.

ჰანოვერი. 16 ოქტ. საიმედო ცნობებიდან „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იხილავენ ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენციაზე რუსეთის დაშვების საკითხს. რუსეთი მოითხოვს მისი კონფერენციის სრულუფლებიან წევრად ყოფნას საფრანგეთის აზრით კი რუსეთს კონფერენციაზე დასწრების უფლება უნდა მიენიჭოს სრუტეების შესახებ საკითხების განხილვის დროს.

საბერძნეთის პროტესტი.

ბერლ. 16 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ მუდანიის შეთანხმებაზე ხელის მოწერასთან ერთად შეიტანა თავისი პროტესტი ამ შეთანხმების წინააღმდეგ.

პოლიტისის ჩამოსვლა ათინაში.

პარიზი. 16 ოქტ. შაბათს ათინაში ჩამოვიდა პოლიტისი, რომელთაც მიიღებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს.

ჩანაკასთან.

პარიზი. 16 ოქტ. ოსმალეებმა მოხსნეს თავის ჯარები ჩანაკის ფრონტიდან.

ფრაკიის ევაკუაცია.

პარიზი. 16 ოქტ. მოკავშირეთა მისიები შაბათს გაემგზავრნენ ფრაკიის სხვა და სხვა ადგილებში ევაკუაციაზე ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

ბულგარეთის განზრახვანი.

პარიზი. 16 ოქტ. ბულგარეთს განზრახვა აქვს ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე დასვას მისთვის სამხრეთ ფრაკიით ეგეოსის ზღვაზე გასვლის უფლების მინიჭების საკითხი.

ანტანტა და გერმანია

კანონპროექტი გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის შესახებ.

ჰანოვერი. 14 ოქტომბ. ბრანდბიურის კანონპროექტის საპასუხოთ გამოქვეყნდა საფრანგეთის მთავრობის კანონპროექტი. გავასის სააგენტო ამბობს, რომ, როგორც წინადაც აღნიშნავდა საფრანგეთის პრესა, კანონპროექტი გერმანიისათვის 5 წლის მორატორიუმის მინიჭების შესახებ, მიუღებელია საფრანგეთისათვის. საკონტრიბუციო კომისიის რეზოლუცია სრულიად უნაყოფოა, სანამ მოკავშირე სახელმწიფოები ნოემბრის დამლევს ან დეკემბრის დასაწყისში არ შეიკრიბებიან ბრიუსელის კონფერენციაზე და იქ არ განიხილავენ საკონტრიბუციო საკითხს.

გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგის" პარიზის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბრანდბიურის სიტყვით ინგლისის და საფრანგეთის პრესის ცნობები კანონ პროექტის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. ასე მაგალითად ეს კანონ-პროექტი სრულიადაც არ მოითხოვს გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემას.

გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგი" თავის მხრივ ამბობს, რომ ბრანდბიური არ მოითხოვდა გერმანიის გადასახადების ვადების გაგრძელებას, არამედ მხოლოდ მოითხოვდა ოქროს ფულის ქაღალდის ფულის ნიშნებით 5 წლით შეცვლას.

სატრანსპორტო კავშირის მუშაობა

ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ქვეყნების ტრანსპორტის მუშების გაფიცვები სტიქიურად იზრდება და ღებულობს უფრო და უფრო საშიშ ხასიათს ისტორიულად დრომოჭმულ ბურჟუაზიულ კლასისათვის.

ბურჟუაზია ეძებს დამცველებს მათზე თავდატეხილ საშინელ საფრთხისაგან. იგი მიმართავს ნაცად და სწორ მეთოდს—2 ყვითელ ინტერნაციონალის ლიდერების დახმარებით სცდილობენ თვალი აუხვიონ ტრანსპორტის მუშებს ლამაზი სიტყვებით და ყოველგვარი დაპირებებით.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ყვითელი გამცემლების მიერ, რომელნიც თავის თავს ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფრაქციას უწოდებენ, მოწვეულია ქალ. ვენაში მორიგი ყრილობა, იმისათვის, რომ მატყუარა ფრაზებით და დაპირებით შეაჩერონ ბურჟუაზიის ციტადელზე მოვლენილი საშინელი საფრთხე.

ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა მასები, ტრანსპორტის მუშები იმედოვნებენ, რომ ვენის ყრილობა, შესძლებს ტრანსპორტის მუშების მტკივნეულ საკითხების რადიკალურად გადაჭრას.

მაგრამ ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ წინანდელი ამგვარივე ყრილობები, ამსტერდამში, ხრისტიანიაში და ჟენევაში, თავდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ ქაღალდზე გამოქონდათ დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი, რომელნიც ცხოვრებაში არასოდეს არ ტარდებოდნენ. ეს კიდევ ცოტაა, როდესაც შეუმცირის ხელფასი ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის ტრანსპორტის მუშების, ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის წევრები, — ფიმმენი, ბიდეგარკი და შიფელი გულხელ-დაკრეფილი და დამშვიდებული უცქეროდნენ ყოველივე ამას. სრულიად არ მოუწოდებდნენ პროლეტარიატის ტრანსპორტის მუშებს შეტევაზე გადასვლისაკენ გათავხედებულ კაპიტალის წინააღმდეგ.

ფარისეველ გამცემლებმა უსირცხვილოთ ჩაშალეს ამერიკის სამთამადნო მუშების გაფიცვები, თუმცა ქაღალდზე სრულიად საწინააღმდეგო დაადგინეს და ამით ზურგში ჩასცეს მახვილი არა მარტო რკინისგზელებს, არამედ მთელ პროლეტარიატს გაანაგრძლივეს რა ამით ბურჟუაზიის ბატონობის დასასრული.

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფრაქცია შეხმატკბილებულ განწყობილებაში იმყოფება არის ერთა ლიგასთან, რომელიც ანტანტის სულის ჩამდგმელების ცენტრალური კაბინეტი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს თუ როგორი დამცველია იგი მუშათა კლასის ინტერესებისა.

სამაგიეროდ, ბიუროს საერთაშორისო ფრაქცია თვალყურს ადევნებს თავის რიგებს, რათა ამ რიგებში არ აღმოჩნდეს ისეთი ელემენტები, რომელნიც მოითხოვენ ბურჟუაზიისათან ანგარიშის გასწორებას. ამ მიზნით ტრანსპორტის მუშების ფედერაციიდან გამორიცხული არიან საუკეთესო მუშები—ბულგარელები, რუსები, ფინელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები და სხვები, რათა თავის რიგებში არ ჰყავდეთ მათი ბნელი გამცემლობითი მისწრაფებათა გამომჟღავნებლები.

აღნიშნულ ქვეყნების მოწინავე მუშები განდევნილი არიან ტრანსპორტის მუშების ფედერაციიდან, იმისათვის, რომ ისინი არა სიტყვით, არამედ საქმით იცავდნენ 8 საათის სამუშაო დღის იგერიებდნენ ბურჟუაზიის შემოტევას ხელფასის წინააღმდეგ, სცდილობდნენ, რომ არც ერთი ქვეყანა არ გამოსულიყო შტრეიკბრეხერად მეორე ქვეყნის წინააღმდეგ, რათა ერთა ლიგის მეგობრულ განწყობილებას კაპიტალისადმი ბოლო მოღებოდა და დასასრულ გაერთიანებულიყო მთელი ქვეყნის ტრანსპორტის მუშები. აი მოთხოვნილება, რომელიც მათ სურთ გაატარონ ცხოვრებაში.

აღნიშნულ მოწინავე მუშების მიერ შედგენილია პროპაგანდის ცენტრალური კომიტეტი, ერთიანი მებრძოლი ფრონტის აღსადგენად.

საქართველოს რკინის გზელებო, თქვენ უნდა გაგზავნოთ შერცხვენა და წყევლა-კრულვა ვენის ყვითელ ყრილობას და შავ ფიცარზე დაწეროთ იმ პირების სახელები, რომელნიც ლამაზი სიტყვებით ატყუებენ ბურჟუაზიულ ქვეყნების ტრანსპორტის პროლეტარიატს.

ჩვენი ძმური სალამი პროპაგანდის ცენტრალურ კომიტეტს, სადაც თავმოყრილი არიან მოწინავე მუშები, რომელნიც მოითხოვენ რადიკალურ ზომებს ბურჟუაზიულ ბორკილების მოსატეხვრელად... და რომელნი სცდილობენ, რათა დააჩქარონ მუშათა კლასის ის სანეტარო დღე, როდესაც ჩვენი ორთქლმავლები თავისუფლად იმოძრავებენ ევროპის რკინის გზის რელსებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო ქვეგანყოფილება.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესია

(გაგრძელება იხ. გაზ. „კომუნისტი" № 236)

მეშვიდე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მახარაძე:

გადასახადთა სისტემის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. ბიბინეიშვილი.

ბ. ბიბინეიშვილი: ამხანაგებო, სანამ ჩვენ განვიხილავდეთ ფინანსთა სახალხო კომისარიატის გადასახადთა პოლიტიკას, საჭიროთ მიმაჩნია მოკლეთ შევეხო ჩვენს ფინანსიურ პოლიტიკას, ხოლო რადგანაც ეს უკანასკნელი განისაზღვრება საზოგადო ეკონომიური პოლიტიკით, თქვენი ყურადღება ცოტა ხნით უნდა შევაჩერო ამ საგანზე.

როგორც მოგეხსენებათ საბჭოთა რესპუბლიკას ეკონომიური პოლიტიკა ორ პერიოდათ იყოფა: პირველი პერიოდი 1818 წ. 1921 წლამდი, ხოლო მეორე 1921 წლიდან დღევანდლამდე. პირველ პერიოდს ახასიათებს მრეწველობის სრული ნაციონალიზაცია, უმთავრეს ნედლ მასალათა სახელმწიფო მონოპოლია, შრომის ბეგარა, თავისუფალი ბაზრის მოსპობა და მუშა-მოსამსახურეთათვის პირველი საჭიროების საგნების მომარაგება. ფინანსიურ დარგში ეს პოლიტიკა შემდეგ მოვლენებში გამოიხატა: ფულით გადასახადის უარყოფა, და მისი მნიშვნელობის თანდათანი დაკარგვა; საბანკო აპარატის მოსპობა, ადგილობრივი გადასახადების სრული უარყოფა და ადგილობრივ ორგანოთა სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანა. მეორე პერიოდს ანუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ახასიათებს: სახელმწიფოს როლის შეზღუდვა წარმოების პროცესში, ვინაიდან სახელმწიფოს წარმოებითი როლი განისაზღვრება ზოგიერთი მსხვილი მრეწველობით წვრილი და საშუალო მრეწველობის მფარველობა, კერძო ინიციატივას ფართოდ გამოყენება, თავისუფალი ბაზრის დაშვება, სახელმწიფოს მარაგის მომხმარებელთა რიცხვის შემცირება, საქონლის ნატურალურ გაცვლა გამოცვლის პრინციპის უარყოფა და ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტის ცალკე ბიუჯეტათ გამოყოფა.

ეკონომიური პოლიტიკის შეცვლის გამო ჩვენ ძირიანად უნდა შეგვეცვალა ფინანსიური პოლიტიკა. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ თავდაპირველად ჩვენი შეხედულება ფულის როლზე სულ სხვაგვარი იყო ვიდრე დღეს. თუ წინეთ ფულის კურსის დაცემას და მისი ღირებულების დაქვეითებას არავინ ყურადღებას არ აქცევდა, სამაგიეროთ ეხლა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მთელი საბჭოთა ხელისუფლებისა მიპყრობილია ფულის კურსის სტაბილიზაციისაკენ, რომ როგორმე შეჩერდეს ფულის კურსი ერთ დონეზე, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია საქონლის წესიერად გაცვლა გამოცვლა და საზოგადოდ მრეწველობის აყვავება.

ჩვენი ფულის კურსის, ჩვენი ვალიუტის დაცემა აიხსნება ორი მიზეზით: საქონლის ნაკლებობით და ემისიით. პირველი მიზეზი, ე. ი. საქონლის ნაკლებობა დიდ როლს თამაშობდა ძველი ეკონომიური პოლიტიკის დროს, როცა თავისუფალ ბაზრის შეზღუდვასთან ერთად საქონელიც გაქრა ბაზრიდან, და ეს იყო მთავარი მიზეზი ფულის კურსის დაცემისა. ეხლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, საქონლის ნაკლებობა თითქმის აღარ არის. მას შემდეგ, რაც კერძო ინიციატივას გზა გაეხსნა ვაჭრობა მრეწველობა ცოცხლდება და საქონელიც ჩნდება. მაშასადამე უმთავრესი მიზეზი ფულის კურსის დაცემისა მდგომარეობს ემისიაში. როგორც მოგახსენეთ თავი და თავი მიზეზი ემისიისა გახლავთ ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი. აი ამ დეფიციტის დასაფარავად საჭიროა გამოცემულ იქნეს ფულის სულ ახალ-ახალი რაოდენობა. მაშასადამე რომ ფულის კურსი შევაჩეროთ ერთ დონეზე, აუცილებელია ბიუჯეტის გაჯანსაღება, ჯერ დეფიციტის შემცირებით და შემდეგ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის გათანასწორებით.

ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი აიხსნება თავდაპირველად ჩვენი მეურნეობის დეფიციტით, შემდეგ უმიზნო და გაზვიადებული ხარჯებით, და ბოლოს სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა, შემოსავლის სიმცირით. მეურნეობის დეფიციტი არ არის სადღეისო და სახვალიო საკითხი. ეს დიდი საკითხია, რომელმაც შესაძლებელია ათეული წლობით გასტანოს, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს სათანადო ზომებს ჩვენი მეურნეობის ასაყვავებლად; დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე გადიდებულ და უმიზნო ხარჯების მოსპობასაც. რაც შეეხება მესამე მიზეზს,—გადასახადთა სიმცირით აკრეფას—მოგახსენებთ რომ ფინანსთა კომისარიატის მთელი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ სავსებით ამოვწუროთ გადამხდელთა შესაძლოება და იმავე დროს არ შევაფერხოთ წარმოება. ძველი ეკონომიური პოლიტიკის დროს გადასახადებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. დღეს კი გადასახადები აუცილებელია არა მარტო ეკონომიური მოსაზრებით, არამედ პოლიტიკურადაც, ვინაიდან გამრავლდა შეძლებულ პირთა რაოდენობა და წვრილი ბურჟუაზია, რომელთა დაბეგვრა პროლეტარული სახელმწიფოს სასარგებლოთ სავსებით მიზანშეწონილია.

გადასახადების ფინანსიური მნიშვნელობა როგორც მოგეხსენებათ გამოიხატება შემდეგში: გადასახადების შემწეობით ჩვენ ვადიდებთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს და ვამცირებთ დეფიციტს. მაშასადამე გადასახადებიდან შემოსული რაოდენობით ვამცირებთ ემისიას და ამით კი ვაჩერებთ ფულის კურსის დაცემას.

მართალია გადასახადებით შემოსული თანხა არც ისე დიდია, რომ გაგვანთავისუფლოს სავსებით ემისიისაგან, მაგრამ მიმდინარე წელში ეს ფული მაინც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს და ყველა იმ ზომებთან ერთად, რომელსაც ღებულობს ფინანსთა სახალხო კომისარიატი ჩვენ მიზანს ვაღწევთ—ჩვენი ფულის კურსი თითქმის ერთ დონეზეა შეჩერებული. ყოველ შემთხვევაში, ისე სწრაფად არ ეცემა, როგორც ეს ხდება მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში. შევეხები ეხლა თვით გადასახადთა პოლიტიკას და იმ სახელმწიფო გადასახადებს, რომლიც ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემოღებულია საბჭოთა საქართველოში. ავიღოთ პირდაპირი გადასახადები: სარეწაო და შემოსავლის კვალობაზე გადასახადი, პირდაპირი გადასახადების პოლიტიკა ხასიათდება დაბეგვრის სიმტკიცით, ხოლო დაბეგვრის სისტემა—შემოსავლის დაბეგვრით.

ეს საგადასახადო პოლიტიკა ძირიანად განსხვავდება რუსეთში არსებულ სისტემისაგან. სადაც იბეგრება არა მარტო შემოსავალი, არამედ თვით საბრუნავი თანხაც. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი პოლიტიკა მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც ბრუნვის რაოდენობით ყოვლად შეუძლებელია მოგების გათვალისწინება. შეიძლება ხშირად საბრუნავი თანხა იყოს დიდი და შემოსავალი კი ცოტა ან სულ არა მე ვამბობ, ამ შემთხვევაში, როცა იბეგრება დაწესებულება, ანუ კერძო პირის ნამდვილი ფაქტიური მოგება, ის ცხოვრებასთან ახლოა, მასთან შეთანხმებული და მიზანშეწონილია. რა თქმა უნდა, არაერთ ამხანაგს შეუძლია მიგვითითოს, რომ ამ სისტემის დროსაც ხდება შეცდომები. მაგრამ შეცდომები სად არ ხდება, სამაგიეროთ, ჩვენ გვაქვს სათანადო ორგანოები, რომელთაც ევალებათ ამ შეცდომების გამოსწორება განსაჩივრებით ჯერ საგადასახადო საკრებულოში შემდეგ განსაკუთრებულ საგადასახადო სათათბიროში.

პირდაპირი გადასახადები ჩვენს რესპუბლიკაში შემდეგია: სარეწავი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულება, როგორც ანგარიშ-ვალდებული, მაგალითად ბანკები, კოოპერატივები და სხვა, ისე არა ანგარიშ-ვალდებულნიც და აგრეთვე ყველა ის პირი, რომელიც აწარმოებს სავაჭრო ოპერაციას. მეორე,—შემოსავლის კვალობაზე გადასახადი, რომლითაც იბეგრება ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლის შემოსავალი აღემატება 9 მილიონ მანეთს წელიწადში (ეს ნორმა მოქმედობს 1921 წლისათვის), არის სალერზო გადასახადი, სიმტკიცის ბაჟი და ბაჟი უსასყიდლოდ გადასულ ქონებაზე. 1921 წლის სარეწავი გადასახადი გაწერილი იყო 52 მილიარდი და შემოსავლის კვალობაზე 72 მილიარდი, სულ 124 მილიარდი მანეთი. 1922 წელში ამდენი, თითქმის ამაზე მეტიც, არის გაწერილი.

ყოველგვარ გადასახადს გარდა ფისკალური მნიშვნელობისა აქვს სოციალური მნიშვნელობა. ვინაიდან ის მფარველობას უწევს ერთ კლასს მეორე კლასის ხარჯზე. ჩვენი გადასახადთა პოლიტიკა, სადაც იბეგრება მხოლოდ შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა ხოლო თავისუფლდება მცხოვრებთა შეუძლო ნაწილი, სავსებით არ არის მოკლებული ამ მნიშვნელობას.

რაც შეეხება არა პირდაპირ გადასახადებს, სახელდობრ აქციზს, აქ შეიძლება აქ შეიძლება ათასგვარი სადაო საკითხები დაისვას. ყველას კარგათ მოეხსენება ის მიმდინარეობა ფინანსიურ პოლიტიკაში რომელიც უარყოფს არა პირდაპირ გადასახადებს ვინაიდან არა პირდაპირ გადასახადს იხდის მხოლოდ მომხმარებელი. ეს დებულებაც რომ მივიღოთ სახელმძღვანელოდ, მაშინაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ უარყოფს არა პირდაპირი გადასახადების შემოღებას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, თუ გვინდა ფულის კურსის ერთ დონეზე შეჩერება, გადასახადები რაც შეიძლება მეტი უნდა აიკრიფოს, და მეორე, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არსებითადაც მიზანშეწონილია და აი რატომ: ავიღოთ თუ გინდ გადასახადი პაპიროსზე. ვთქვათ პაპიროსის აქციზი შემოვიდა ოცდა ათი მილიარდი, და პაპიროს ხომ გარდა მუშა მოსამსახურეებისა იწევს ყველა, თვით ვაჭრები შეძლებული კლასი, ხელოსანი და სპეკულიანტი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვარაუდით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მთელი აქციზის ნახევარი მაინც დააწვება შეძლებულ კლასებს. მართალია უსამართლობა არის როცა მუშებს გახდევინებთ არა პირდაპირ გადასახადს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს საშვალება მუშებისაგან აღებული არა პირდაპირი გადასახადი მათვე დაუბრუნოს თუ გინდ ხელფასის გადიდებით ან სხვა რაიმე შეღავათით.

ჩვენი არაპირდაპირი გადასახადი განირჩევა სხვა სისტემისაგან იმით, რომ ჩვენში გადასახადით დაბეგვრის სისტემა დამოკიდებულია გაყიდვის საშუალო ფასებთან შეფარდებული პროცენტებზე. ე. ი. თუ ღირებულება რომელიმე საქონლისა მატულობს, მაშინ ემატება აქციზიც და ეს ხდება მექანიკურად. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დეკრეტით ყოველ ორ თვეში გადასინჯოს გადასახადის ნიხრი და თუ მოიმატა საშუალო ღირებულებამ ობიექტზე, გაადიდოს აქციზიც, ამისათვის არ არის საჭირო ახალი დეკრეტი და მისი გატარება უმაღლეს ორგანოში. ეს ძირითადი თვისებაა ჩვენში არსებულ არაპირდაპირ გადასახადებისა. ამიტომ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს სისტემა უფრო მიზანშეწონილია და ცხოვრებასთან შეფარდებული. ბოლოს საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო ის გარემოება, რომ არაპირდაპირი გადასახადების ნიხრის დაწესების დროს, ჩვენ მეტად სათუთათ ვეპყრობით ერთ უმთავრეს დარგს ჩვენი მეურნეობისას, ეს არის ყურძნის ღვინო, რომელსაც ვაწერთ ისეთ გადასახადს, რაც შეეფარდება და შეეფერება ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას, რათა, ვიმეორებ, ეს უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა დაცული იქნეს და ოდნავათაც არ შეფერხდეს. ამაშიც დიდი განსხვავება არის, მაგალითად რუსეთში არსებულ ნიხრთან შედარებით.

ახლა, მე მინდა შევეხო ყველაზე უფრო რთულს, ყველაზე უფრო არეულ დარეულ საგადასახადო დარგს, ეს გახლავთ ადგილობრივი გადასახადები, რომელიც სისტემაში ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი და ბევრი შრომა და ენერგიის დახარჯვა საჭიროა, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე ცენტრს, რათა ეს გადასახადები, ადგილობრივ ორგანოთა უმთავრესი საარსებო წყარო—თავის სიმაღლეზე დააყენოს. დღევანდელი ადგილობრივი საბჭოები და აღმასკომები პირდაპირ მემკვიდრენი არიან ქალაქის ყოფილ თვითმმართველობებისა და ერობების, მემკვიდრენი არიან არა მარტო ქონებრივად, არამედ უფლებრივადაც. დღეს ადგილობრივმა ორგანომ უნდა იუფლოს როგორც მმართველმა და შექმნას ღირებულება როგორც მეურნემ. შეიქმნა ახალი ურთიერთობა სახელმწიფოს ხელისუფლებასა და ადგილობრივ ორგანოთა შორის. ეს ურთიერთობა განსაზღვრულია კონსტიტუციაში, ხოლო მათი საბიუჯეტო უფლებები განმარტებულია გადასახადთა დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია მიმდინარე წლის თებერვლის 5 ს საქართველოს რევკომის მიერ. ამ დებულებით ადგილობრივ ორგანოს უფლება აქვს თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს: 1) მისი საკუთარი ქონების შემოსავლით, 2) კომუნალურ წარმოების შემოსავლით, 3) ამ დებულებაში აღნიშნულ გადასახადებით და ბაჟებით, 4) სახელმწიფო ხაზინაში შემოსული გადასახადებიდან და ბაჟებიდან გადარიცხული პროცენტებით, 5) შემთხვევითი შემოსავლით და 6) დახმარებით ან სესხით მთავრობისაგან.

არსებითად შემოსავლის ეს წყაროები არაფრით არ განსხვავდებიან ყოფილ ადგილობრივ თვითმმართველობათა შემოსავლის წყაროებიდან, მხოლოდ წინათ მათ არ ქონდათ პროცენტები შემოსული გადასახადებისაგან ეს მათ ემატებათ, და სამაგიეროთ აკლდებათ გადასახადი მიწაზე და აგრეთვე შესაფასებელი გადასახადი. თითქოს ერთნაირი დარჩა მათი ბიუჯეტი, მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა ადგილობრივ ორგანოებისათვის გაცილებით, უარესია ვიდრე იყო წინათ. კარგათ მოგეხსენებათ, რომ წინათ კომუნალურ წარმოებათა შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტის უდიდეს პროცენტს შეადგენდა.

ეს დაწესებულებები კი ჯერ იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა სავსებით მოშალა და დაანგრია. მართალია საქართველოში ადგილი არ ქონია სამოქალაქო ომს, (და მაშასადამე ნგრევაც ნაკლები იყო მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული მემკვიდრეობა იმდენად მოძველებული და გაცვეთილი იყო და არის, ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო, რომ მათი ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება ზეკაცურ ზომებს ითხოვს, არა თუ ისინი იძლეოდნენ რაიმე შემოსავალს. ვიმეორებ ადგილობრივ ორგანოთა მდგომარეობა გაუარესდა!

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ როცა მათ კანონიერი საშუალება

სხვა და სხვა ამბები

ინგლისი

ჩემბერლენის სიტყვა.

მანჩეერი. 14 ოქტ. ჩემბერლენმა თავის სიტყვაში ინგლისის შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ სხვათა შორის განაცხადა, რომ კაბინეტის ყველა კონსერვატორის წევრები იზიარებენ ლოიდ ჯორჯის შეხედულებას და მან, მემარჯვენე ამომრჩეველთა ზრახვების წინააღმდეგ მოითხოვა მხარის დაჭერა კოალიციისათვის. ჩემბერლენმა კოალიციის აუცილებლობას ხაზი გაუსვა იმ მოსაზრებით, რომ მუშათა პარტიის გამარჯვებას შეუძლია დიდი საშიშროება შექმნას.

სასტიკი გაფრთხილება.

პარიზი. „მატენის“ ცნობით, ინდოეთის დიდა ქალაქის მუსულმან მოსახლეობამ გაუგზავნა დეპეშა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომელშიაც აღშფოთებას გამოსთქვამს ინგლისის ანტი-ოსმალურ პოლიტიკის გამო და აცხადებს, რომ ასეთ პოლიტიკის გაგრძელების დროს შესაძლებელია მუსულმანების მღელვარებამ მიიღოს გრანდიოზული ხასიათი, რასაც არა ხელსაყრელი შედეგი ექნება ბრიტანიის კაბინეტისათვის.

ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 15 ოქტ. „ობსერვერი“, რომელიც მხარს უჭერდა ლოიდ-ჯორჯს, ეხლა მოითხოვს მის გადადგომას. ამასვე იმეორებენ სხვა გაზეთებიც. შესაძლებელია, რომ ლოიდ-ჯორჯი ახალ-არჩევნების დაწყებამდე გადადგეს.

ვლადივოსტოკის ევაკუაცია.

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. იაპონელების მიერ ვლადივოსტოკის ევაკუაცია დაიწყო. იგი დამთავრდება 25 ოქტომბერს.

საფრანგეთი

რუსეთი და საფრანგეთი.

მოსკოვი. 15 ოქტ. ვარშავიდან იუწყებიან, რომ ერრიომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მოსკოვში საფრანგეთის სავაჭრო წარმომადგენლობის გაგზავნის და პარიზში რუსეთის საბჭოთა მისიის ჩამოსვლის დრო უკვე დადგა.

სპარსეთი

სპარსეთის ნავთი.

ბაქო. 14 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთების ცნობით სპარსეთის მთავრობამ დასდო საკონცესიო ხელშეკრულება ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთიან ადგილების დასამუშავებლად საზოგადოება „სტანდარტ ოილ“ და „სინკლერის“ ფირმებთან ამ ხელშეკრულების დადებას აქვს კავშირი სპარსეთის მთავრობის მიერ ამერიკისაგან სესხის აღებასთან.

ინგლისი და სპარსეთი.

მოსკოვი. 17 ოქტომბერი. ინგლისის ელჩმა მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას იმ ადგილობრივ მუშათა გაზეთის დახურვა, რომელმაც ერთ-ერთ წერილში გაილაშქრა ელჩის წინააღმდეგ: „ელჩი სიცრუეს ლაპარაკობსო“. გაზეთმა მეორე დღეს განაცხადა, რომ ის უარს ამბობს სიტყვა „სიცრუეზე“, რომელიც არ შეეფერება მის სტილს, მაგრამ არსებითად იგი რჩება თავის თვალსაზრისზე, რომ ელჩი სიმართლეს არ ლაპარაკობს, როდესაც ის ხსნის სპარსეთში მესოპოტამიიდან ინგლისელების მიერ გამოგზავნილ ლიდერების ჩამოსვლას... (დამახინჯებულია) მათ მშობლების და მათ სურვილით წავიდნენ გასასეირნებლად. ინგლისის საელჩო დაჟინებით მოითხოვს გაზეთის დასჯას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობა.

მოსკოვი. 15 ოქტ. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელმა პოლონეთში ობოლენსკიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ უკანასკნელ დროში რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობას გაუმჯობესება ემჩნევა. ახლო მომავალში მოსკოვში ჩამოვა პოლონეთის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი და გამართავს მოლაპარაკებას სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. პოლონეთი თანახმაა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე, სადაც განიარაღებასთანაა დაკავშირებული საკითხები.

კავშირის მუშაკთა ყრილობა.

მოსკოვი. 15 ოქტ. 20 ოქტ. გაიხსნება სრულიად რუსეთის კავშირის მუშაკთა ყრილობა. ყრილობას დაესწრება საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი.

ვრანგელის მომხრენი.

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. როსტოვში ჩამოვიდა 4.100 ყოფილი ვრანგლის მომხრე ოფიცერი და ჯარის კაცი. უცდიან კიდევ 5.000 კაცის ჩამოსვლას.

მიწის კანონების კოდექსი.

მოსკოვი. 15 ოქტ. მიწად მოქმედების კომისარიატმა დაამტკიცა სამიწო კოდექსის პროექტი. კოდექსი გადაცემულია სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად.

კოდექსი აწესებს მიწაზე, წყალზე, ტყეებზე და ბუნების ცოცხალ ძალებზე კერძო საკუთრების გაუქმების შეურყევლობას.

ოქტომბრის ზეიმი.

მოსკოვი. 15 ოქტ. მოდის ცნობები, რომ ყველგან ემზადებიან ოქტომბრის ზეიმისათვის.

ამ დღისათვის განზრახულია მიტინგების გარდა, მუზეუმების, მუშათა ფაკულტეტების, გამოფენების და ობსერვატორიების გახსნა.

მოსკოვი. 14 ოქტ. სახალხო განათლების კომისარიატმა გააუქმა თავისი დადგენილება სმოლენსკის უნივერსიტეტის დახურვის შესახებ, რადგანაც მისი ხარჯები იკისრა საგუბერნიო აღმ. კომიტეტმა.

რ. ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 14 ოქტ. ამხ. ბუხარინმა, სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ყრილობაზე ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში კომუნისტურ აღზრდის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა: ახლო მომავალ წლებში სასტიკი ბრძოლა იქნება გამართული კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის და იმ წარმოებათა შორის, რომელნიც მუშურ სახელმწიფოს ხელში იმყოფებიან. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეს გრანდ. სტრატეგიული შემოვლაა მოწინააღმდეგის. თუ ჩვენ არ გვეყოლა საიმედო კადრი, ყველა სფეროში საკომანდო პოსტები დაკავებული იქნებიან არა პროლეტარულ ელემენტების მიერ. ეს თუ მოხდა, დაიწყება არა პირდაპირი გზით დაბრუნება კაპიტალიზმისაკენ. ამ რიგად კომუნისტურ ახალგაზრდობის აღზრდას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ახლა ჩვენთვის დადებითი მოვლენაა. მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება და ჩვენი მატერიალური საფუძველი მტკიცდება. მაგრამ მოწინააღმდეგე გვიტევს იდეურ ფრონტზე. ჩვენ ყველა ძალები უნდა შემოვიკრიბოთ და ამ ფრონტზე ბრძოლა გავაჩაღოთ. აგრეთვე ლიკვიდაცია უნდა უქნათ ახალგაზრდა მუშათა წრეებში წერა-კითხვის აუცილებლობას.

აგრეთვე უნდა შემოვიღოთ ელემენტარული განათლება კომუნისტურ ახალგაზრდობის ფართე მასებში ადმინისტრატიულ კადრის შექმნასთან ერთად. საჭიროა განსაზღვრული კვალიფიკაცია, შესწავლა განსაზღვრულ პროფესიის და მეცნიერების დარგის.

ამხ. კოლონტაი.

მოსკოვი. 14 ოქტომბერი (პირდაპირი მავთულით). ამხ. კოლონტაი დანიშნულია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მრჩევლად ნორვეგიაში.

სრულიად რუსეთის ცენტ. აღმასრ. კომიტეტის სესია.

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იქნა სრულიად რუსეთის ც. ა. კ-ის მე-3-ე სესიაზე აღნიშნულია, რომ უკრაინის ბიუჯეტი 1922—1923 წ. წ. გაუმჯობესებას იწყებს. სახელმწიფო რესურსები მოხმარდება ტრანსპორტს, სასოფლო მეურნეობას და წითელ არმიას.

სესიის მიერ გამოყოფილმა კომისიამ უკრაინის ადმინისტრატიულად დაყოფის შესახებ, მხარი დაუჭირა ოდესის და ნიკოლაევის გუბერნიების და აგრეთვე ეკატერინოსლავის, კრემენჩუგის და ზაპოროჟის გუბ. ერთ გუბერნიაში გაერთიანებას.

დარჩათ, ხელი მიყვეს უკანონო გადასახადებს. ასეთი მაგალითები ბევრია. ეს სამწუხაროა, მაგრამ აიხსნება ადგილების უმწეო მდგომარეობით. მეორე გარემოება, რომელიც ართულებს ადგილობრივ ორგანოთა მდგომარეობას, ეს არის შტატების გადიდება და „მთელი ხალხის“ მოსამსახურეებათ აყვანა. თუმცა ჩვენ შტატებს უმოწყალოთ ვამოკლებდით, მაგრამ იმ ნორმამდე მაინც, როგორიც იყო უწინდელ ხელისუფლების დროს, ვერ დავიყვანეთ. სამწუხაროთ ყველა მაზრების ხარჯთ აღრიცხვა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ იმ ხარჯთ აღრიცხვებიდან, რაც უკვე წარმოდგენილია, აშკარა არის, რომ 64 პროც. შემოსავლისა მხოლოდ აღმასკომების წევრებისა და მოსამსახურეების შენახვისათვის იხარჯება. ეს ისეთი დიდი პროცენტია, რომ ვერც ერთი ხელისუფლება ამას ვერ გაუძლებს. მე არ ვიტყვი რა იყო წინათ თვითპყრობელობის დროს მაგრამ მენშევიკების დროს ადგილობრივ მოსამსახურე პირებზე იხარჯებოდა 5 ნახ. პროცენტიდან 23 პროცენტამდე; ამაზე ზევით არ გადასცილებია. მესამე მიზეზი ბიუჯეტის წონასწორობის დარღვევისა არის ადგილობრივი აღმასკომების უსისტემო მუშაობა.

ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება არ ითვალისწინებს სასურველ საქმის სიდიადეს და მისი განხორციელების შესაძლოებას; ისინი ხშირად იწყებენ ისეთ დიდი საქმეს, რომელსაც ვერ აზდიან და ბოლომდის ვერ ათავებენ, ხოლო დაუმთავრებელი რომ არ დარჩეს ან მთავრობას მიმართავენ სუბსიდიისათვის, ან და უკანონო გადასახადს ჰკიდებენ ხელს. ზევითაც მოგახსენებდით კომუნალურ დაწესებულებათა ზარალიანობაზე, რომ არავითარ შემოსავალს ისინი არ იძლევიან, მაგრამ სამწუხაროდ ხშირად ადგილობრივი ორგანო ვერ ულებს ალღოს საქმეს და ისეთი დაწესებულებები აქვს რომელიც არც იმდენათ საჭიროა და შეიძლება საზარალოც. ამისთანა შემთხვევაში ისინი უსათუოდ უნდა მოასპონ (მაგალითად ზუგდიდის საპარიკმახერო, რომელიც ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა და ბოლოს მგონი დახურეს).

ადგილობრივ ორგანოთა შემოსავლის გასაძლიერებლად აუცილებლად საჭიროა შემოღებულ იქნეს ახალი გადასახადები, შეფარდებული იმ დებულებასთან, რომელიც არის გამოშვებული. და რომ ის კანონიერი იქნეს ამისთვის საჭიროა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის სანქცია. აგრეთვე საჭირო და შესაძლებელია გადათვალიერებულ და გადასინჯულ იქნეს ნორმა არსებული გადასახადებისა. და გადიდდეს ბევრი მათგანი. ამის გადათვალიერებას კი აქ ვერ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ახალი გადასახადი და არც გადიდებული ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო ფინანსიურ პოლიტიკას.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ უმთავრესი გადასახადი რომელიც დიდ შემოსავალს აძლევდა წინანდელ ერობებს, მენშევიკების დროსაც, ეს არის გადასახადი მიწაზე. ეს გადასახადი დებულებაში აღნიშნული არის, მაგრამ შემდეგ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ის აკრძალა, ვინაიდან მამულის შემოსავალი ისედაც დაბეგვრილია საკმაოდ დიდი გადასახადით, ეგრედწოდებულ, სასურსათო გადასახადით და ზედმეტი გადასახადის დადება მიწაზე შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, ამ სასურსათო გადასახადის, არა ნაკლები 20 პროც.-სა, ყოველი მიზეზის გარეშე უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოებს. მეორე წყარო შემოსავლისა არის საძოვრები, სათიბები და ტყეები. შემოსავალი ამ წყაროებიდან მიაქვს მიწათმოქმედების კომისარიატს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ რომ არის ისეთი მაზრები, (მაგ. ბორჩალოს მაზრა) რომელიც ცხოვრობენ საქონლის მოშენებით. იქნება საძოვრებიც ამ შემთხვევაში, რომ მიწათ მოქმედების კომისარიატმა განაგრძოს მთელი ამ შემოსავლის წაღება, ეს უსამართლობა იქნება. არის მაზრები, რომელთაც არავითარი შემოსავლის წყარო გარდა ტყეებისა არ გააჩნიათ (მაგ. რაჭის მაზრა), ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა რომ 20 პროც. (თუ მეტი არა) ამ საძოვრებიდან, ტყეებიდან და სათიბებიდან გადაეცეს ადგილობრივ ორგანოებს.

კიდევ უნდა გავიმეორო ის, რომ, როცა გადასახადი არის უკანონოთ შემოღებული, ესე იგი სათანადო უწყების სანქციის გარეშე, ეს გადასახადი აუცილებლად უნდა აიკრძალოს და პასუხისმგებელი უნდა გახდეს ყველა ადგილობრივი ორგანო, რათა ასეთ გადასახადს მომავალში მაინც ადგილი არ ექნეს, ვინაიდან ეს არ იქნება შეთანხმებული ჩვენს ფინანსიურ და გადასახადთა პოლიტიკასთან, და შექმნის მხოლოდ არევ-დარევას და ანარქიას. ამისთვის აუცილებლად საჭირო არის შეიქმნას დროებითი შტატი, მცოდნე ინსტრუქტორებისა, რომლებიც ჩამოივლიან, ადგილობრივ ორგანოებს და შეისწავლიან რა ადგილობრივ პირობებსა და მდგომარეობას, შემოიღებენ ახალ კანონიერ გადასახადს, გადასინჯავენ არსებული გადასახადების ნორმებს და აუკრძალავენ უკანონოთ შემოღებულ გადასახადებს.

აგრეთვე დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული განსაკუთრებული ზომები, რათა კომუნალური წარმოებანი ფეხზე დავაყენოთ.

მე უნდა აღვნიშნო კიდევ ის, რომ არ იქნეს დაშვებული ეგრედ წოდებული, მიზნობრივი გადასახადი (целевые налоги), ვინაიდან ასეთი გადასახადები სრულიად შლიან და სპობენ საერთო ფინანსიურ პოლიტიკას. ალბად ეს მოსაზრება ქონდა კანონმდებელს სახეში, როდესაც ადგილობრივ გადასახადთა მე-43 მუხლში სპეციალური გადასახადის შემოღება განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა და ამისთვის საჭირო გახადა განსაკუთრებული სანქცია დაინტერესებულ უწყებათა. აი მოკლეთ ის, რის მოხსენებაც მინდოდა გადასახადთა პოლიტიკის შესახებ და მოვითხოვ, რათა სესიამ დაადასტუროს შემდეგი ჩვენი დასკვნა გადასახადთა პოლიტიკურ სფეროში, რასაც იზიარებს სესიის მიერ არჩეული კომისია. შემდეგ მომხსენებელი კითხულობს თეზისებს.

(გაგრძელება იქნება)

სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

თანახმად საქართველოს კომისართა საბჭოს დადგენილებისა 18 სექტემბერს გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული კომისია სწავლა განათლების მდგომარეობის ადგილობრივად გამოსარკვევად და მომავალ სასწავლო წლისათვის საჭირო ზომების მისაღებად, სახალხო გან. კომის. ამხ. დ. კანდელაკის, თბილ. განათლების განყოფილების გამგე დ. რუხაძის, კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის და კომისარიატის საქმეთა მართველის ალ. მიქაბერიძის შემადგენლობით.

კომისიამ პროვინციაში ორი კვირა დაჰყო. მოიარა ბათომი, ოზურგეთი, ქუთაისი, ხონი, მათხოჯი, კულაში, ფოთი, სამტრედია, ახალსენაკი, ზესტაფონი და გორი; ადგილობრივ გაეცნო სწავლა-განათლების საქმეს როგორც ზემოაღნიშნულ ცენტრებში, ისე დაბებსა და ახლო მდებარე რაიონებში.

კომისიის მიზანი იყო გამოერკვია:

1. აღმასრულებელი კომიტეტების მოღვაწეობა სწავლა-განათლების საქმეში და მათი დამოკიდებულება ადგილობრივ განათლების განყოფილებებთან.

2. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების მოღვაწეობა სწავლა აღზრდის წარმატების მხრით წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებელთა და მოწაფეთა ცნობაში მოყვანა და შემოწმება.

3. ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მოღვაწეობა წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში და მათი დადებითი ან უარყოფითი ხელმძღვანელობა სასწავლებლების მართვა-გამგებლობისა და სწავლა განათლების საქმეში.

4. სასწავლებელთა შეერთება და შეჯგუფება იმ პირობით, რომ მოწაფეთა შემადგენლობა სკოლის გარეშე არ დარჩენილიყო.

5. მასწავლებელთა და სკოლების გამგეების სიების გადასინჯვა სტაჟისა და გამოცდილების მიხედვით და ამ მხრით სათანადო ცვლილების მოხდენა.

6. სასწავლებელთა შენობების რემონტისა და გათბობის მხრით მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფა.

7. სასწავლებლების შესანახი ხარჯების ნაწილის ადგილობრივი საშუალებებით დაკმაყოფილება.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხების გამორკვევამ კომისია დაარწმუნა, რომ აღმასრულებელი კომიტეტები, მრავალი საპატიო მიზეზის გამო, თითქმის ყველგან ჯეროვანის ყურადღებით და მზრუნველობით ვერ ეპყრობოდნენ სწავლა განათლების საქმეს ქალაქებსა და მაზრებში, რაიცა უეჭველია მეტად აფერხებდა ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მოღვაწეობას სკოლების ახალ საფუძველზე და ნიადაგზე დამყარების საქმეში; აღმასრულებელ კომიტეტებისა და განათლების განყოფილებათა შორის არ არსებობდა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ცხადია მოამზადებდა და შექმნიდა სასურველ ნიადაგს ჩვენი ახალ პრინციპებზე დამყარებულ სკოლების ნაყოფიერად მოქმედებისათვის.

განათლების განყოფილება ხშირად იყო საშუალებას მოკლებული უსახსრობის გამო, მოეხდინა სასწავლებლების შენობებში სასწრაფო და აუცილებელი რემონტი, შეეძინა უბრალო სასწავლო ისეთი ნივთი, როგორიცაა, მაგალითად, ცარცი, ჩვარი, ცოცხი და სხვა; მიმოსვლის საშუალებათა უქონლობის გამო გაეწია უშუალო ხელმძღვანელობა მაზრის სკოლებისათვის და სხვა.

აღმასრულებელ კომიტეტებთან პირადი მოლაპარაკებიდან კომისიამ გამოარკვია, რომ მართლაც ადგილობრივი ხელისუფლება ნივთიერის მხრით ვერ უწევდა სათანადო დახმარების განათლების განყოფილებებს, მაგრამ ყოველივე ამას ადგილობრივი ხელისუფლება უსახსრობით ასაბუთებდა. აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი განმარტავდნენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას უხდება მრავალი ამ ხანად პირველმნიშვნელოვანი და მასთან ყოვლად აუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მას ამისათვისაც საკმარისი საშუალება არ მოეპოვება და ამიტომაც იყო, რომ განათლების განყოფილებებს ჯეროვან ნივთიერ დახმარებას ვერ უწევდნენ.

მომავალ სასწავლო წლიდან ამ ანორმალური პირობების თავიდან ასაშორებლად კომისიამ გამართა ყველგან პირადი მოლაპარაკება აღმასრულებელ კომიტეტთან და განუმარტა, რომ ამიერიდან ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულებაში გადადებული იქნება უფრო მეტი ნივთიერი საშუალებანი, რაიცა უეჭველია შეძლებას მისცემს აღმასრულებელ კომიტეტებს უფრო მეტი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ განათლების განყოფილებებს სასწავლებლების ნორმალურად წარმართვის საქმეში.

მომავალ სასწავლო წლიდან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ექნებათ სწავლა განათლების სფეროში მოსალოდნელ ხარჯების ნაწილის თავის თავზედ მისაღებად სამი წყარო, რაიცა უეჭველია, შედარებით გააძლიერებს კომიტეტების ბიუჯეტის შემოსავალს.

პირველი—ცენტრალური მთავრობის მიერ უკვე დაკანონებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსულის 20 პროც. ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში გადარიცხვა. ამ თანხიდან 7—8 პროც. შესაძლებელი იქნება მოხმარდეს სწავლა-განათლების საქმეს; მეორე—უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში დაწესებულია, როგორც დროებითი ზომა, სწავლის ფულის გადასახადი; მესამე—მთავრობის მიერ პრინციპიალურად უკვე მიღებულია ეგრედ წოდებული სასკოლო საყოველთაო გადასახადი, რომელიც უეჭველია სულ მოკლე ხანში დეკრეტის სახით სათანადო ინსტანციაში დადასტურებულ იქნება. თუ ყველა ამას დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ განათლების განყოფილებებს ნება ეძლევათ, საჭირო შემთხვევებში თემებთან შეჰკრან ხელშეკრულებანი სკოლების ადგილობრივ საზოგადოების საშუალებით კოლექტიურად შენახვის შესახებ, ცხადია, რომ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს სრული შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ თავის თავზე ნაწილი იმ ხარჯებისა, რომელსაც ამ ჟამად მთავრობა იწევა საერთო სახელმწიფო საშუალებიდან.

ყველა მოხსენებული რესურსების გათვალისწინების შემდეგ ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს მიიღონ თავის თავზე:

1. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელთა: ა) შენობების რემონტის, გათბობის, განათების და ყოველი სამეურნეო ხარჯების გასწორება; ბ) ტეხნიკურ მომუშავეთა და ადგილობრივი განათლების განყოფილებათა (გარდა გამგისა) ყველა მოსამსახურეების ჯამაგირებით დაკმაყოფილება; გ) მასწავლებელთა მთელი შემადგენლობის 10-25 პროცენტამდე ჯამაგირების ადგილობრივ საშუალებიდან გაღება.

პროვინციაში

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მუშაობა აგვისტოს განმავლობაში (ქუთაისის სამაზრო პარტკომის ანგარიშიდან)

აღმასკომის საქმიანობის გასაფართოვებლად და სათანადო ნიადაგზე დასაყენებლათ შინა-მმართველობის განყოფილება სამაზრო აღმასკომისა შეერთებულ იქნა აღმასკომთან საინსტრუქტორო საინფორმაციო ქვე-განყოფილების დაარსებით. აგვისტოს განმავლობაში აღმასკომს ქონდა 7-დი პრეზიდიუმის და 4-პლენალური სხდომა. ღებულობდა ენერგიულ ზომებს, რათა წესრიგი მაზრაში ყოფილიყო შესაფერისად დაცული. ადევნებდა თვალ-ყურს, რომ სისწორით და სიჩქარით ასრულებულიყო ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის ყოველგვარი დეკრეტები და განკარგულებები. აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა კერძო მოქალაქეთა პრეტენზიებს. შეიმუშავა და გამოსცა სხვა და სხვა საგანზე ინსტრუქციები და ცირკულიარები რიცხვით 16. ქვემდებარე აღმასკომების მილიციისადმი საქმის სასურველათ წარმოების დაყენების შესახებ, თემების აღმასკომების სამმართველოების საქმის წარმოების გამოსარკვევათ და შესაფერისათ მოსაწესრიგებლათ მივლინებულნი იქნენ მაზრაში აღმასკომის წევრი ხარაბაძე, და საინსტრუქტორო საინფორმაციო ქვე-განყოფილების გამგე ფხაკაძე, რომლებმაც შეძლების დაგვარათ ამ მიზნით შემოიარეს რამოდენიმე თემი და განაგრძობენ დანარჩენების დათვალიერებას. სამმართველოში აღნიშნულ თვეში, სულ შემოვიდა 1415 სხვა და სხვა საგანზე მოთხოვნილებანი და გაიცა 1280 განკარგულება.

კომუნალურ მეურნეობის მუშაობა. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებაში შედიან შემდეგი საწარმოო დაწესებულებანი: 2 ელექტრონის სადგური, 2-წისქვილი, ერთი ყინულის ქარხანა, ერთი საპნის ქარხანა, ერთი საქსოვი სახელოსნო, ერთი სტამბა, ორი აბანო, 1 საპარიკმახერო და ტყავეულობის ქარხანა (უკანასკნელი გაცემულია იჯარით). განყოფილების აქტივი უდრის 1.213.990.335. გარდა ამისა კომუნალური მეურნეობის განყოფილება ენერგიულ მუშაობას აწარმოებს გზებისა და ხიდების შესაკეთებლათ. შეკეთებულია ფრიად მნიშვნელოვანი გზები და ხიდები.

მიწად მოქმედების განყოფილება. მიწის რეფორმა ტარდება. თუ რამდენი მიწაა ჩამორთმეული და უმიწაწყლოზე გადაცემული და რა ნორმით, განყოფილებამ არ იცის იმ მიზეზისა გამო, რომ აღნიშნულ ცნობებს განყოფილება მიიღებს მიწის მზომელებიდან არა ადრე 10—12 ამა სექტემბრისა, აგვისტოს თვის განმავლობაში იმ თემებიდან, სადაც მიწის მზომელები მუშაობდნენ, მიწად მოქმედების განყოფილებაში საჩივრები არ შესულა, რაც ადასტურებს მას, რომ მცხოვრებლები კმაყოფილნი არიან ადგილობრივი კომიტეტების მოქმედებით, რომლებიდანაც მოელიან დადებითად მიწის რეფორმის დასრულებას. მიმდინარე წლის 7 ივლისის დებულების თანახმად სამაზრო საადგილ-მამულო კომისიაში, რომელიც ითვლება მიწის გარშემო ამტყდარი დავის და მიწად-მოწყობის მოქმედების გამრჩევ უმაღლეს ინსტანციათ და საქმეები ირჩევა იმ წესით, რაწესით [illegible] სახალხო სასამართლოში, დარჩენილიყო გასარჩევათ 403 საქმე. გაირჩა აგვისტოში 120 საქმე, რომელთა შორის 65 საქმე დაბოლავდა უკანასკნელი გადაწყვეტილების გამოტანით. რამოდენიმე საქმეები კი გადაცემულ იქნა სასამართლოზე, რამოდენიმე კი [illegible] მოისპო. დარჩენილია გასარჩევათ 1 ელ სექტემბრისათვის 367. გლეხობის მიწის რეფორმასთან დამოკიდებულება იყოფა ორ კატეგორიათ. პირველი—მემამულეები უკმაყოფილონი არიან, მეორე უმიწაწყლონი და მცირე—მიწის მქონენი მოხარულნი. აგვისტოს თვის განმავლობაში განყოფილების განკარგულებაში იყო მამულები კვახჭირი—წულუკიძისეული, ვანის თვალაყვაძისეული, და ქორისუბნის სანერგე. აღნიშნულ განყოფილებაში ითვლება სულ 24 მოსამსახურე, რომლებთაგან 8 არის საერთო კანცელარიის, 10 [illegible] 6 მიწად მოწყობის, [illegible] მუნისტია, ერთი სინდიკალისტი, დანარჩენი კი უპარტიონი.

განათლების დარგი: აგვისტოს თვის განმავლობაში დამთავრდა ქალაქ ქუთაისის სასწავლებლების შეჯგუფება შემდეგ ნაირად: მე-4-ხე ტეხნიკუმი შეუერთდა მე-5 თე ტეხნიკუმს მე 8-ვე ტეხნიკუმში იქნება მე-3-მე ტეხნიკუმის პარალელური. 1 და 2 რე ტეხნიკუმები შეერთდება, მე-6-სე ტეხნიკუმი დარჩება უცვლელათ. მე-7 დე ტეხნიკუმი კი გადაკეთდა საღამოს კურსებათ და ამ ნაირათ 8 ტეხნიკუმების მაგიერათ იქნება 4 ხე ტეხნიკუმი, ერთი საღამოს კურსები და ერთი მუსიკალური სასწავლებელი. შრომის სკოლები შეჯგუფდა შემდეგ ნაირათ: პირველი შრომის სკოლა დარჩა უცვლელათ, მეორე შეუერთდა მე-17-ტე შრომის სკოლას, მესამეს შეუერთდა მე-19 ტე შრომის სკოლა. მეოთხე შეუერთდა მე-5 თეს, მეექვსე დარჩა უცვლელათ, მეშვიდეს შეუერთდა ბერძენთა და სომხის სკოლა, მერვეს შეუერთდა ნაწილი მეთორმეტე სკოლისა და მუშა მოსამსახურეთა სკოლა, მეთერთმეტეს შეუერთდა კახიანაურის და მეათე სკოლები, მეთერთმეტე მე-15-ტე და 18 ტე სკოლები შეერთდა ერთ სკოლათ, მე-13-ტე სკოლას შეუერთდა მწვანე ყვავილის სკოლა, რკინის გზის სკოლა და საბავშვო სახლი დარჩა უცვლელათ, ამნაირათ 27 სკოლის მაგიერ ქუთაისში ითვლება 13 სკოლა, ამათაგან 11 მთლიანი შრომის სკოლაა, 2 არა სრულ კომპლექტიანი შრომის სკოლა და ერთი საბავშვო სახლი. რაც შეეხება მაზრას, მზადდება მასალები სკოლების შეჯგუფებისათვის. გადაწყვეტილია თვითეულ თემში იყოს ერთი სკოლა, რომლის გამგე განაგებს ამ თემის სოფლების სკოლებს, რომლებიც ჩაითვლებიან იმ ერთ სკოლის პარალელებათ. სკოლების შეჯგუფებას აქვს მნიშვნელობა სწავლა აღზრდის სათანადო დონეზე დაყენებისათვის, განსაკუთრებით თემებში, სადაც იქნება ერთი ხელმძღვანელი მთელ თემში, რომელსაც ექნება საშუალება თვალყური ადევნოს მეცადინეობას სკოლებში, ხშირად მოუყაროს თავი თემის ყველა მასწავლებლებს პედაგოგიურ საბჭოზე, პედაგოგიურ საკითხების ერთად გასარჩევათ, რომ ერთნაირ დონეზე იქნეს დაყენებული სწავლა ყველა სკოლებში.

სკოლებში შეჯგუფება გაამარტივებს სკოლების მართვა გამგეობას, გაადვილებს მათთან დამოკიდებულებას და აგრეთვე შეამსუბუქებს ეკონომიურ კრიზისს. მასწავლებელთა რიცხვი ქ. ქუთაისში არის 966. ხოლო მოწაფეთა 26,235 რაც შეეხება მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. ქუთაისის მოსამსახურენი ჯამაგირით არიან დაკმაყოფილებულნი 1 ივლისამდე, ხოლო მაზრაში სკოლების მოსამსახურენი 1 ივნისამდე. მიღებულია ზომები, რაც შეიძლება საჩქაროთ დაკმაყოფილებული იქნენ დანარჩენი თვეების ჯამაგირებით.

(დასასრული იქნება

ქრონიკა

სტატისტიკოსთა ყრილობა. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს კოლეგიის დადგენილებით მიმდინარე წლის ნოემბერს პირველ რიცხვებში მოწვეულია სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა. ყრილობის პროგრამა და მოწვევის წესი გამოქვეყნებული იქნება თავის დროზედ.

◆ **საყოველთაო საქალაქო აღწერის გარშემო.** სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მომავალ საქალაქო აღწერის მოსამზადებლად. პროვინციის ქალაქებში დაგზავნილნი არიან საგანგებო რწმუნებულნი ადგილობრივ სააღწერო ორგანიზაციების მოსაწყობად. აღწერის ძირითადი ფორმულიარები და ინსტრუქციები უკვე დაბეჭდილია, დანარჩენი იბეჭდება. ნოემბრის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნენ აღწერის ხელმძღვანელთა თათბირი ყველა სამაზრო ქალაქებიდან. სამმართველოს კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე აირჩია აღწერის პოპულიარიზაციის მიზნით ფართე მასაში საგანგებო კომისია, რომელშიაც შევიდნენ: სტატისტიკურ ცოდნის გამავრცელებელ კომისიას წევრი მ. ყოჩიაშვილი, ცენტრალურ სააღწერო ბიუროს წევრი გ. ფირაძე და ლ. მაჩაბელი. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და გამოიმუშავა თავის მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვით უნდა მოწყობილ იქმნეს როგორც თბილისის სხვა და სხვა უბნებში (განსაკუთრებით განაპირ) ისე პროვინციის ქალაქებში საჯარო. მოხსენებები აღწერის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ; აღწერის საკითხის ყოველმხრივ გაშუქება პრესაში, პლაკატების გამოფენა და საავიტაციო პუნქტების გავრცელება ქალაქთა მოსახლეობის შორის; აღწერის ლოზუნგების დემონსტრაცია ეკრანზედ და სხვა.

◆ **სტატისტიკური კრებული.** სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შეუდგა ვრცელი ეკონომიურ-სტატისტიკურ კრებულის გამოცემას, რომელშიც მოთავსებული იქნება ძირითადი მასალები საქართველოს სოციალ ეკონომიურ ცხოვრების ყველა უმთავრეს დარგებიდან. კრებული იბეჭდება სამ ენაზედ (ქართულ-რუსულ-ფრანგულად) და გამოვა დაახლოვებით მიმდინარე წლის დასასრულს. ხელის მოწერის პირობები გამოცხადებული იქნება ცალკე.

◆ **მუშათა ფაკულტეტზე.** სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე ლექციების კითხვა ორშაბათს 9 ოქტომბერს დაიწყო. ჯერ ჯერობით ყველა ლექციების დაწყება არ ხერხდება, რადგან მუშათა ფაკულტეტი წესიერათ ვერ იღებს ელექტრონის განათებას. მსმენელთა რიცხვი დღე-დღეზე მატულობს, რაიც აიხსნება იმით, რომ პროვინციიდან დიდძალი მსმენელები მოაწყდა ფაკულტეტს. პროვინციიდან მარტო ამ კვირაში მიღებულია 60 მსმენელი. ბინის საკითხი მსმენელთათვის ჯერ-ჯერობით მოუწყობელია. საცხოვრებელი სახლის გახსნა გვიანდება საბინაო განყოფილების მიზეზით, რომელიც ამ საკითხში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

◆ **ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირი.** ოქტომბრის 22-ს სასადილოს შენობაში (პლეხანოვის პრ. № 83) დანიშნულია ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის წევრთა საერთო კრება. დღიური წესრიგი: მოხსენება საბჭოთა ფედერაციის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და ქალაქის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს მუშაობა—მოღვაწეობის შესახებ.

მუშათა ცხოვრება

ყოფილი ადამოვის ელექტრონის სადგური

სადგურში მუშაობას საკმაო მუშა ხელი. მუშების მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ცხოვრობენ ანტისანიტარულ პირობებში. მათი ტანთსაცმელი გამურულია ქვარტლით და მაზუთით არ აქვთ სპეცტანისამოსი თუმცა ადგილკომი ყოველდღე პირდება: აი ხვალ დაგირიგებთ და აი ზეგო, მაგრამ ყოველივე ეს ცარიელ სიტყვებს არ ცილდება. მუშების ეკონომიური პირობებიც ძლიერ ცუდია. 2 ნახ. მილიონი ეძლევათ თვიურათ და აი ამ თანხით უნდა დაიკმაყოფილონ ყოველივე მოთხოვნილება. სადგურთან არ არსებობს აბანო, რაც ერთი ორათ უწყობს ხელს ანტისანიტარულ პირობების შექმნას. მუშების მდგომარეობა არც ბინის მხრივ არის დამაკმაყოფილებელი. იმ დროს, როდესაც სადგურთან უამრავი ბინები არის, და ვინ იცის საიდან არ ასახლებენ ამ ბინებში მოქალაქებს, ამავე დროს ამავე სადგურის მოსამსახურენი ბინის მხრივ საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მუშებს აგრეთვე ძლიერ აწუხებს შეშის საკითხიც. ზამთარი მოახლოვებულია და შეშის საკითხი ჯერაც გამოურკვეველია. საჭიროა დროზე ზომების მიღება.

აქაური.

საამშენებლო მუშაკთა კავშირის სახლი

ეს სახლი მოვლის მხრივ უნდა იყვეს სამაგალითო. აქ მცხოვრებნი მუშები ყველანი საამშენებლო დარგის მუშები ვართ და ჩვენს სახლს მაინც არაფერი არ უნდა აკლდეს ამშენებლობის მხრივ. სინამდვილეში კი ეს ასე არაა. სახლი საჭიროებს რემონტს. გაწვირიანებული და უშნოა. კედლებიდან კირი მოცვივა. საჭიროა თაოსნობა. შიგ მცხოვრებმა თითო დღე რომ ვიმუშაოთ და რამდენიმე ფული გავიღოთ მასალის შესაძენათ, საქმეს მეტი არაფერი უნდა. სხვა შორის რომ არ იყვეს სირცხვილია, რომ საამშენებლო დარგის მუშებს ჩვენი საკუთარი სახლი თავზე ჩამოგვენგრეს.

ამშენებელი.

ოპას სასურსათო ბაზა

ეს ბაზა არსებობს საბჭოს ქუჩაზე. აქ მუშაობს 66 მუშა მოსამსახურე. შრომის კანონები ამ დაწესებულებაში ძალიან მცირედათ არის დაცული. დაწესებულებაში არაა პირსაბანი, პირსახოცი, საპონი. მუშებს არა აქვთ დარიგებული ხალათი და წინსაფარი. სამუშაო კი ისეთია რომ მუშებს ამ მუშაობის პირობებში ესვრებათ და ეხევათ თავის საკუთარი ტანისამოსი. აქ დაუდევრობასთან გვაქვს საქმე თორემ დაწესებულებას აქვს იმის საშუალება რომ ამ მხრივ შრომის კანონები დაიცვას. ისეთი დიდი დაწესებულება რომ 66 კაცი მუშაობს და გადადუღებული წყალიც კი არაა. მუშების საცხოვრებელ ოთახებში არაა განათება. საპირფარეშოც ძალიან გაბინძურებულია. ადგილკომს მეტათ სიფრთხილე მართებს, რათა შრომის კანონების დაცვას მეტი ყურადღება მიექცეს.

მუშა.

სახალხო განათლების კომისარიატის მესამე საბავშო სახლი

ამ საბავშო სახლში ცხოვრობენ როგორც უკიდურეს ღარიბთა შვილები, აგრეთვე უპატრონონიც. ბავშვები მოზრდილებიც არიან და პატარებიც. მოზდილთათვის არსებობს წერა-კითხვის შესასწავლი სკოლა. პატარები ერთვებიან სხვა და სხვა სათამაშოებით. ბავშთა საერთო რიცხვი არის 52. სახლს ყავს 19 მოსამსახურე, ამათში ორი მამაკაცია. მოსამსახურეების მდგომარეობა ძლიერ ცუდია, შრომის დაცვის კანონები მათთვის არ არსებობს. მზარეული ქალი და მწმენდავი მუშაობენ დილის 7 საათიდან ღამის 6 საათამდი. ზედმედ სამუშაოსათვის გასამრჯელოს არ იღებენ. არა აქვთ საექიმო დახმარება, იყო შემთხვევები რაიონის ექიმმა უარი განაცხადა საექიმო დახმარებაზე. მოსამსახურენი იძულებულნი არიან თავიანთი ჯიბიდან იხადონ ექიმისა და წამლისათვის, მოსამსახურეთა უმეტეს ნაწილს საცხოვრებელი ბინები იქვე სახლთან აქვთ მაგრამ ბინები უვარგისია, ოთახები საშინელი ნესტიანი, მოსამსახურენი ჩივიან აგრეთვე უგაზეთობას, სახლს არ მიუდის არც ერთი პერიოდული გაზეთი. არ არის წესიერად დაყენებული წყალის საკითხიც.

ახალი.

შუშის ქარხანა ავჭალაში

ავჭალა ციებ-ცხელებიანი ადგილია და მალიარიით ძალიან შეწუხებული ვართ. სამკურნალო დახმარების საქმე ვერ არის ჩვენთან კარგად დაყენებული. ქარხანასთან ვითომ არსებობს ამბულატორია ერთი ექიმით და ერთი ფერშლით, მაგრამ სინამდვილეში ასეთი არაფერია. საჭიროების დროს ვერ ვხედავთ ვერც ფერშალს. დაზღვევ კასაში ალბათ თავის დროზე ცხადდებიან გასამრჯელოს მისაღებათ. ექიმი ვალდებულია გამოცხადდეს ქარხანაში კვირაში ორ დღეს და მიიღოს ავადმყოფები, ის ამ თავის ვალდებულებას არ ასრულებს და სავიზიტოთ არის, ქარხნისაკენ მხოლოდ ჩამოიარს. თუ ვინმე ავათაა და უჭირს რომ აცნობონ მაინც არ მიდის, შინიდან უწერს რეცეპტს. კიდევ უფრო თავხედობს ფერშალი ის დილის 6 საათიდან უნდა იყვეს, მაგრამ 12 საათზე თუ გვეწვია ისიც წყალობაა. ადგილკომს მართებს ამ გათავხედებულ ექიმ-ფერშლის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება. ადგილკომმა დაუყონებლივ უნდა მოითხოვოს დამზღვევ კასიდან ისეთი ფერშალი და ექიმი, რომელიც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, ამათი კი, დაუდევრობისა და საქმისადმი გულგრილობისათვის სამართალში მიცემა.

კონსერვების ფაბრიკა გორში

ეს ფაბრიკა ეკუთვნის ცეკავშირს. ფაბრიკაში მუშაობს 30 მუშა, უმთავრესად ქალები. აქვე მუშაობს დღიური მუშები. მათი მდგომარეობა ძალიან ცუდია. აძლევენ დღეში შრომის ხელფასად 50 ათას მანეთსა. შენობა ისეთია რომ ფაბრიკა მხოლოდ ზაფხულობით მუშაობს, ზამთრობით დამდგარია. შრომის კანონები ფაბრიკაში სრულებით არაა დაცული. არა აქვთ მუშებს პირსაბანი საპონი, პირსახოცი. არ არის ფაბრიკასთან ისეთი ოთახი სადაც მუშებს საუზმობა ან სადილობა შეეძლოთ. სპეც ტანისამოსზე ლაპარაკიც ზედმეტია. დარიგებული აქვთ მხოლოდ წინსაფრები. მუშების შორის არავითარი კულტურულ მუშაობას არა აქვს ადგილი. ცეკავშირის „სოციალისტები" ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

გორელი.

ხელოვნება

„აბესალომ და ეთერი"

(სეზონის გახსნა)

15 ოქტომბერს სახელმწიფო ოპერამ „აბესალომ და ეთერი"-თ დაიწყო თავისი სეზონი. ზ. ფალიაშვილის ოპერით სეზონის გახსნა უკვე ტრადიციათ შეიქნა. და მართლაც ბევრი რამ არის ამ ოპერაში სატრადიციო და საზეიმო.

ზ. ფალიაშვილს ბევრი უსაყვედურებს, რომ მის „აბესალომ და ეთერში" მომეტებული წილი ეტნოგრაფიული ელემენტი სჭარბობს, ვიდრე მხატვრული. ეს არ არის მართალი. კომპოზიტორმა, მართალია, ბევრი ეტნოგრაფიული მასალა შეიტანა თავის ოპერაში, მაგრამ ეს მასალა ისეა დამუშავებული, რომ მხოლოდ დიდ კომპონისტს შეეძლო. ზ. ფალიაშვილს აქვს ისეთი სტრიქონები, რომელიც მოწმობს კომპოზიტორის თავისუფალ შემოქმედებას.

ჯერ უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ფალიაშვილი დიდი ტეხნიკოსია. ოპერის ინსტრუმენტოვკა შესანიშნავად აქვს დამუშავებული და ამ მხრით თავის მასწავლებელ ტანიევისგან ბევრი რამ უსწავლია. ზ. ფალიაშვილი დიდი მცოდნეა საეკლესიო მუსიკის, იგი დიდი ორგანისტია და ყოველივე ეს მშვენივრად ჩანს ოპერა „აბესალომ და ეთერში". რაც შეეხება ეტნოგრაფიულ ელემენტს, აქ კომპოზიტორი გზას ვერ აუხვევდა. ამ ეტნოგრაფიაშია ჩაქსოვილია მთელი ხალხის პსიხოლოგია და ზ. ფალიაშვილმაც დიდი ნიჭით აამეტყველა ხალხის სული. აქ თვით ხალხი მღერის. თვით ხალხის ნების ყოფაა გამოხატული და ოპერა „აბესალომ და ეთერიც" ხალხური ოპერაა. ეს უფრო მუსიკალური დრამაა, ვიდრე ჩვეულებრივი ლირიული ოპერა. აქ კომპოზიტორი ახალ ფორმებს იძლევა, იმ ფორმებს, რომელიც გვიანდერძა რიჰარდ ვაგნერმა. ზ. ფალიაშვილის ოპერა სავსეა აღმოსავლეთის კოლორიტით და მშვენიერი ხალხურ ლეგენდაში ამეტყველებულია ქართული მელოდიები დიდი ექსტაზით და მუსიკალურ ეგზალტაციის სიცხარით.

ოპერამ კარგად ჩაიარა. აბესალომის პარტიას ვ. სარაჯიშვილი მღეროდა. მომღერალმა ჩვეულებრივად კარგი მუსიკალობა გამოიჩინა. მშვენიერი იყო პირველ გამოსვლისთანავე, როდესაც მაჟორით აჟღერა თავისი რბილი სათუთი ხმა და მელოდიური—უკანასკნელ მოქმედებაში სადაც დიდი მირონით და ლამაზი თავისებური „პიანო"-თი—გადმოგვცა აბესალომის სულის კვეთება. განსაკუთრებით კარგი იყო დუეტში მომღერალ ქალ. ბოკოვასთან. ნაკლები ენტუზიაზმით იქნა შესრულებული მესამე მოქმედების არია — „ვეძებდი ბედსა". გარეგნულად ლამაზი აბესალომია. ვ. სარაჯიშვილს აქვს დრამატიული განცდაც.

ეთერის პარტიაში პირველად გამოვიდა ბოკოვა. და უნდა ითქვას მომღერალ ქალს დაძლეული ჰქონდა თავის პარტიის ყოველივე სიძნელე. მშვენივრად გამოსთქვამდა ქართულ სიტყვას. ბოკოვას ქალს აქვს ტემპერამენტი და იცის მუსიკალურად ნიუანსების გადმოცემა. ბოკოვასთვის არ არსებობს სიძნელე პასაჟების და ყოველ რეგისტრაში მისი ხმა სწორია.

ინაშვილს მურმანის შესრულებაში ახალი შტრიხები არ მიუმატებია. თამაშობს ისევ ჩვეულებრივად, მაგრამ სამაგიეროდ ვოკალურ გადმოცემაშია მომღერალი კარგი. განსაკუთრებით მისი ხმა მედიუმში უფრო იღებს ტკბილ [illegible]. აქ აქვს მას კეთილშობილური ტემბრი ხოლო დაბალ რეგისტრაში მოხდენილი—ვიბრაციები.

დანარჩენი აღმსრულებელნიც კარგები იყვნენ.

ოპერას დირიჟორობდა ისეთი მაესტრო, როგორიც არის დამსახურებული ივანე ფალიაშვილი.

კარგია ახალი დეკორაციები.

თეატრი სავსე იყო ხალხით

არმან დიუვალ.

— **წიგნები რუსეთიდან.** სახელმწიფო გამომცემლობამ მოსკოვში გაგზავნა სპეციალური პირი სასწავლო და პოლიტიკურ ლიტერატურის შესაძენათ. პირველ პარტიას მოელიან ამ თვის 30-ს.

— **„ლომისი".** გამოვიდა გაზ. „ლომისი" მორიგი ნომერი, (7) რომელშიდაც მოთავსებულია კ. გ.-ს, ვალერიან გუნიას, ხომლელის, შალვა მირიანაშვილის, ტერენტი გრანელის, ი. მოსაშვილის და სხ. ნაწერები.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს სახელმწიფო ოპერაში, წარმოდგენილი იქნება „კარმენი", მუსიკა ბიზესი. კარმენის როლს შეასრულებს, თბილისში პირველათ, ფატიმა მუხტაროვისა. პიესას დადგამს ბოგოლიუბოვი, დირიჟორობას გასწევს ბრონ.

— **პენსიერთა სია.** თანახმად სახ. განათლების კომისარიატის შუამდგომლობისა, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა—მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის და პედაგოგიურ ასპარეზზე დამსახურებულ მოღვაწეთა სია, რომელთაც 1-ლ ოქტომბრიდან დაენიშნათ პენსია,— 1 ლ კატეგორიას 3,000,000 მან., 2—2,500,000 მან., 3—2,000,000 მან.

1-ლი კატეგორია.

პროფესორები: 1) მელიქიშვილი პ., 2) ჯავახიშვილი ივ., 3) ჯანაშვილი მ., 4) ცაგარელი ა., 5) კეკელიძე კ., 6) წერეთელი გრ., 7) გეხტმან გ., 8) გამბაროვი.

მწერლები. 9) კლდიაშვილი დ., 10) მაყაშვილი კ., 11) ბარნოვი ვ., 12) არაგვისპირელი შ., 13) განდეგილი დ., 14) მღვიმელი შ., 15) დუტუ მეგრელი, 16) ჭიჭინაძე ზაქ., 17) გაბაშვილი ეკ., 18) ერისთავ-ხოშტარიასი, 19) თუმანიანც ავ., 20) ლეისტი არტურ, 21) რობაქიძე გრ., 22) ილია ჭავჭავაძის ქვრივი, 23) ვაჟა ფშაველას ქვრივი.

მსახიობები: 24) აბაშიძე, ვ., 25) გუნია ვ., 26) ტერ-დავითიან, 27) საფაროვ-აბაშიძე, 28) მესხი ეფემია, 29) ჩერქეზიშვილი გ., 30) ჩხეიძე ნინო.

კომპოზიტორები: 31) ბალანჩივაძე მ., 32) არაყიშვილი დ., 33) ფალიაშვილი ზაქ.

მოქანდაკე: 34) იაკობ ნიკოლაძე.

მხატვრები: 35) გაბაშვილი გ., 36) თოიძე მ.

2 კატეგორია.

პროფესორები: 1) კარიჭაშვილი დ., 2) აბულაძე იუსტ, 3) გორგაძე ს., 4) სახაროვი ნ., 5) ასაფრეი ს. 6) ვილშაუ კ.

პედაგოგები: 7) გომელაური ი., 7) გრიაზნოვის., 9) ზედგინიძე ია., 10) თაქთაქიშვილი მ., 11) ხან-კარლოს, 12) მდივანი ა., 13) მირიანიშვილი ა., 14) მიქაბერიძე ა., 15) ლ. ბოცვაძის ქვრივი, 16) რატიშვილი ი., 17) სუნდუკიანც ი., 18) ყაუხჩიშვილი მ., 19) გაბაშვილი მ.

მწერლები: 20) მგალობლიშვილი ს., 21) მირიანაშვილი პ, 22) ფანცხავა ია., 23) სახოკია თ., 24) ეკალაძე ია, 25) წერეთელი ა., 26) მაჰავარიანი ი., 27) ლორთქიფანიძე ნ., 28) ხუნდაძე სილოვან, 29) შიუკაშვილი ნ., 30) ნაკაშიძე ნინო, 31) რუხაძე ვ., 32) ბაჩანა, 33) აკოპიან ა, 34) დადიანი შ., 35) რამიშვილი ტ., 36) ფანცხავა რ., 37) ნ. ლომაურის ქვრივი, 38) ნ. ჩხიკაძის ქვრივი, 39) ცახელის ქვრივი, 40) ევდოშვილის ქვრივი, 41) ს. მესხის ქვრივი, 42) სარაჯიშვილის ქვრივი, 43) ლალიონის ქვრივი, 44) ან. ფურცელაძის ქვრივი, 45) პროფ. ყიფშიძის ქვრივი.

მსახიობები: 46) აბაშიძე ტასო, 47) გამყრელიძე ვ., 48) ჯავახიშვილი ნ., 49) იმედაშვილი ა., 50) კარგარეთელი-ქართველიშვილისა, 51) გოცირიძე ნ., 52) დავთაშვილი ნ., 53) მაისურიან, 54) კოტე მესხის ქვრივი, 55) კოტე ყიფიანის ქვრივი, 56) ვ. ალექსი მესხიშვილის შვილი.

კომპოზიტორები: 57) ქორიშვილი ა., 58) კარგარეთელი ია, 59) ფოცხვერაშვილი კ., 60) სულხანიშვილის ქვრივი.

მხატვრები: 61) მრევლიშვილი ა., 62) გრინევსკი გ., 63) შმერლინგი ა.

არხიტექტორი: 64) კალგინა.

3 კატეგორია:

პედაგოგები: 1) გარსევანიშვილი ა., 2) ვარდასანიძე მ., 3) პეტრიშჩევსკაია მ, 4) შარაშიძე ნ., 5) ყიფიანი ს, 6) ხოჯევანიშვილისა, 7) იაშვილი ს., 8) ნაცვალიშვილი ვ., 9) ხმალაძე ლ., 10) ხორბელაძე ა., 11) კონიაშვილი მ., 12) გოგოლაშვილი ე., 13) კანდელაკი ვ., 14) გამყრელიძე ი., 15) ჯაფარიძე ტ., 16) ჭოლიშვილი ე., 17) ჯორჯიკია ს., 18) ოცხელი ს., 19) კონიაშვილი, 20) დომჩენკო რუბანი, 21) კანდელაკი ნ.

მწერლები: 22) ავალიშვილი ნ., 23) ყიფიანი კ., 24) ზომლეთელი, 25) აზიანი, 26) ირეთელი კ, 27) ბაბილინა, 28) მესხი დ., 29) ელეფთერიძე ი., 30) ვართაგავა ი., 31) ახნაზაროვი ა., 32) ქეონია ი., 33) ნიკოლაიშვილი ი., 34) კერესელიძის ქვრივი, 35) ყიფშიძის ქვრივი, 36) ნაკაშიძე ი, 37) პროფ. ს. ავალიანის ქვრივი.

მსახიობები: 38) ახოსპირელის ქვრივი, 39) შალიკაშვილის ქვრივი, 40) ახალშენიშვილის ქვრივი, 41) ბალანჩივაძე ვ, 42) აწყურელი დ, 43) ჩარკვიანი დ., 44) ზაბელლა, 45) ვარდუი, 46) სვიმონიძის ქვრივი, 47) მირაგიანის ქვრივი, 48) მდივანი მ., 49) ანდრონიკაშვილი კ.

განცხადებები

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 14 ოქტომბერს გარდაიცვალა
მეექვსე კლასის მოწაფე მეხუთე ქალთა გიმნაზიისა

ნინო ვ. ზალდასტანიშვილი

რასაც შეწუხებული მშობლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მას პატარა ამხანაგებს. (424—1—1)

ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაზე დილით ხუთშაბათს 19 ოქტომბერს გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ერმალო ელიზბარის ძე ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს ღრმად დამწუხრებულნი: დედა მაკა მოსეს ასული, მეუღლე ანნა მიხეილის ასული, შვილი კიკილო მეუღლით ოლღა დიმიტრის ასულით, ძმა ბიქტორ ელიზბარის ძე მეუღლით ევპრაქსია კონსტანტინეს ასულით, დები: მართა, ელენტი და ლიუდი, სიძეები: ბესარიონ ჯაში, ერასტო მახარაძე და იოსებ მასხულია.

422—1—1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ბარბარე (ვარო) იოსების ასული აბაშიძისა, მამა გიორგი (ბიჭია) ანტონის ძე აბაშიძე, ბიძა დეკანოზი ირაკლი აბაშიძე მეუღლით და შვილებით, და ელისაბედ გიორგის ასული და სიძე ვლადიმერ ასლანის ძე ჯაფარიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სოფ. ჭალაში (საჩხერის რაიონი) უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე აბაშიძე

ცხედრის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 19 ს სოფ. ჭალაში (საჩხერის რკინის გზის სადგურიდან რვა ვერსტის მანძილია) (კრ. 405 2—1)

ხახელმწ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11— 3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამ თავრებამდე

სამშაბათს 17 ოქტ.

კარმენი

ოპერა 4 მოქ. მუს. ჟ. ბიზესი

ოთხშაბათს 18 ოქტ.

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მ. მუს. როსინისა.

ხუთშაბათს 19 ოქტომბერს

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კრ. 397—1—1

დამატებითი სამგზავრო მატარებელი ჩქარი მატარებლის № 5-ის ცხრილის მიხედვით

ტფილისიდან როსტოვამდე

ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველო აცხადებს, რომ ხუთშაბათს 19 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ტფილისიდან როსტოვამდე კავკავის რკინის გზის სარეზერვო შემადგენლობის გადასაყვანად ჩქარი მატარებლის № 5-ის ცხრილის მიხედვით, გაიგზავნება დამატებითი მატარებელი, რომელზედაც გაიყიდება სამგზავრო ბილეთები მაგარ და რბილ ადგილებში—ბარგის მიღებით. (406—2—1)

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მას სიმონ დავითის ძე რაბინოვიჩი, მცხოვრები ბელინის ქუჩაზე № 46 ან დიდი მთავრის ქ. № 48 ნიშნები შემდეგი: შუა ტანისა, 25 ან 26 წლისა, სტუდენტი, ოქრომჭედელი. აგრეთვე კონსტანტინე ბარკალაია და ალექსანდრე ურიდია, რომლების ნიშნები გამოურკვეველია.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიერ ვ ბერბერაშვილი.

(401—3—1) პასუხისმგებელი მდივანი ლ. მანჯავიძე.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

ბაქოში მოქ. კოგანის წიგნის მაღაზიასთან 1 ოქტომბრიდან გაიხსნება

გაზეთის ტრესტის ბაქოს განყოფილება,

სადაც სწარმოებს ხელისმოწერა ტფილისის ყველა გაზეთებზე, განცხადებების მიღება ტფილისის ყველა გასეთებისათვის და გაზეთების ცალკე ნომრების გაყიდვა.

გაზეთის ტრესტის რწმუნებულად და ბაქოს განყოფილების გამგედ დანიშნულია მოქ. **გრიგორი ახათიანი.** (3—2)

ამიერკავკასიის საბაჟოს სამმართველო

გადავიდა

423 თბილისის საბაჟოს შენობაში, ანდრეევის ქუჩა, № 93. 1

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ამით აცხადებს სამრეწველო დაწესებულებათა პატრონების საყურადღებოთ, რომ 17 ოქტომბრიდან

მთელს რესპუბლიკაში დაიწყება ფაბრიკა-ქარხნების აღწერა სპეციალისტ რეგისტრატორების მიერ.

აღირიცხება ყველა ქარხნები და ფაბრიკები ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი: სახელმწიფოს, საზოგადო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს თუ კერძო პირებს. აღწერა ეხება იმ სამრეწ. დაწესებულებათ, სადაც მეხანიკური მამოძრავებელია, და ან ყოველ შემთხვევაში 10 მუშა მაინც.

თუ რაიმე მიზეზით 23 ოქტომბრამდე რეგისტრატორი ვერ მივიდა აღსაწერათ სამრ. დაწესებულებაში, პატრონი ან ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს თავისი მისამართი ქ. თბილისში, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (ბროსეს ქ № 4, ტელეფ. 4—43) დანარჩენ ადგილებში სამაზრო სტატბიუროებს. (კრ. 407—1—1)

ქალაქის ალმასკომის

სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილება

აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ორშაბათს, მიმდინარე ოქტომბრის 16-ში

დაიწყება გამოკვლევა

ყველა ქალ. ტფილისში არსებულ დაწესებულებებისა,

ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა განყოფილებათ, რათა აღმოუჩინონ მას ყოველგვარი კანონიერი დახმარება ზემოაღნიშნულ გამოკვლევის შესასრულებლად.

შენიშვნა: გამოკვლევა იქნება შესრულებული აგენტების საშუალებით, რომელთაც ექნებათ მიცემული სათანადო მანდატები.

ალმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

სასტატისტიკო საინფორმაციო განყ. გამგის მოადგილე **ჯანდიერი.**

მდივანი **ბახილია.** (375 3—3)

ქ. თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს 17 ოქტომბერს დილით 12 საათზე დანიშნულია ქ. ალმასკომის შენობაში

საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფილისის სასწორების მდებარე მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში, პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საიჯარო მაგიდის გამგესთან, დარახველიძესთან.

კრ. 375 (4—4).

შინ. საქ. სახ. კომ. გამოცემა

დაიბეჭდა და იყიდება

საგნობრივი სარჩევი

(Предметный указатель)

ფასი 100 ათასი მანეთი.

1921 წ. „მოამბეში" მოთავსებული საქ. რევკომის და სახ. კომისრების ყველა დეკრეტისა, დადგენილება, ბრძანებისა, დებულებისა, ცირკულიარესა და სხ.

შეძენა შეიძლება

შ. ს. ს. პ. ჟურ. „მოამბის" რედაქციაში

ევანგულოვის ქუ. № 1.

იქვე იყიდება კომისარიატის სხვა გამოცემანიც:

1) ადგილობრივ გადასახადთა დებულება, 2) სტენოგრაფ. ანგარიშები საქ. მაზრის რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა ყრილობისა, 3) სამხრეთ ოსეთის რუქა, 4) აჭარისტანის რუქა და სხ.

მზადდება დასაბეჭდად:

1) საქართველოს რუქა, 2) საგნობრივი სარჩევი 1922 წ. კრ. 390 5—4

სატოსტო გადასახადი გასაგზავნ სადგურზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს საქონლის გამგზავნელთა

საყურადღებოთ,

რომ ტვირთების გაგზავნის დროს, მაგ.: თავშეუნახავი, იაფფასიან და ძნელად შესანახი ტვირთების და აგრეთვე იმ ტვირთების, რომელიც იგზავნება თანმხლებლით, როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზების ფარგლებში, ისე იმის გარედ, უნდა გადახდილ იქნას გადასატანი ქირა ყველა დამატებით გადასახადებით საქონლის გაგზავნის სადგურზე. გასაგზავნ სადგურიდან დანიშნულების სადგურებამდე. (396—2—2)

ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო

ამით აცხადებს, რომ 1922 წ. ივლისის 18 დღისა დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის მარიამ ლუდვიგის ასულის კოსტენსკაიას შინაური ანდერძის წერილი.

426 სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს). 1

დავკარგე პირადობის და შეღავათების მოწმობები. ჩაითვალოს გაუქმებულათ. თამარა დავითის ასული მენთეშაშვილისა.

421 1

[illegible] მე-3 სტამბა. [illegible] № 4.